ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2020 №258 (8522) ფასი: 60 თეთრი

გიორგი რურუას ციხეში ცემის ფაქტზე 8 პენიტენციარული დაწესებულების 2 თანამშრომელი დააკავეს

გვ.5

„კალაძე აფრიკის დასახლებაში წულაიასა და ოდიშარიას მშენებლობისთვის ტერიტორიას უთავისუფლებს“

გიორგი გუგავა: „ქვეყანაში არის სოციალური ფაშიზმი და დამყარებულია ოლიგარქიული დიქტატურა“

გვ.3



პაატა შეშელიძე: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები სახლში სხედან და ხელფასს რაში იღებენ?“

გვ.2



გვ.3

გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილის დროს რუსებმა ახალი მიწები და ბიზნესის 90% მიიტაცეს“

ამირან სალუქვაძე: „დღეს მთელი ოპოზიცია ნაცმოძრაობის გავლენების ქვეშ არის“

გვ.4

„მოლაპარაკებები ჩიხშია შესული“

რამაზ საყვარელიძე: „ზოგი პოლიტიკოსი შეიძლება საერთოდ წავიდეს პოლიტიკიდან და ზოგიც პარლამენტში შევიდეს“

გვ.4

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 სხდომაში მონაწილეობა მიიღო

გვ.5

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 712 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 იუსტიციის ახალი მინისტრი გოჩა ლორთქიფანიძე გახდება

5 საბერძნეთში ქართველების ჯგუფი 24 ძარცვისთვის დააკავეს

2 გაერთიანებული ოპოზიციის 36-ვე წევრმა დეპუტატობაზე უარი თქვა

6 ფაშინიანი: „მთავარი დამნაშავე მე არ ვარ“

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები სახლში სხედან და ხელფასს რაში იღებენ?“

პაატა შეშელიძე: „ხელისუფლებამ მისცეს ხალხს იმის საშუალება, რომ თავის თავს მიხედოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას? პანდემიის შედეგად დაწესებულმა შეზღუდვებმა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა ვითარება. რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას და რა არ გააკეთა?

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა არასწორად. აქცენტები გაკეთდა არა იმაზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შესაძლო გართულების მკურნალობა, არამედ აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები აღარ ყოფილიყო. ადამიანებს შეეზღუდათ საქმიანობა და ურთიერთობა და ამ დროს არ განვითარდა თვითონ ის დარგი, რომელსაც შეეძლო მკურნალობა. იცით, რა ქნეს? ადამიანებს შინაპატიმრობა მიუსაჯეს, რომ რამე არ დაემართოთ. აი, ამაზე გაკეთდა აქცენტი და არა იმაზე, რომ ადამიანს თუ რამე დაემართა, მე გავაჯანსაღო სისტემა და მზად ვიყო, ვუმკურნალო. ეს ფუნდამენტური საკითხია. თუ ამას არ მიაქცევენ ყურადღებას, დანარჩენს აზრი არა აქვს. შეიძლება, ადამიანი სახლში ჩაკეტო მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვაქვს ყველასათვის საკმარისი რაოდენობის საწოლები?! ასე პრობლემა არ მოგვარდება. არ არის საკმარისი კლინიკები? ხვალ შეიქმნება. არ არის საკმარისი კვალიფიკაციის მქონე ექიმები? იქნებიან! აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ადამიანი დაეჭირათ და არა იმაზე, რომ პროდუქტი შექმნილიყო.

– ვერ გაუძლებს ჯანდაცვის სისტემა ასეთ დაწოლასო და ამიტომ ჩაკეტა.

– თუ ასეთ მართვას გააგრძელებენ, რა

თქმა უნდა, ვერ გაუძლებს. ასეთი მართვის სისტემა ვერასოდეს გაუძლებს. ამ სისტემის შემქმნელი სერგეენკო კი ვიცესპიკერი გახდა პარლამენტში. ეს ადამიანები, უბრალოდ, ვერ ხვდებიან, რა გააკეთეს, წარმოდგენაც არა აქვთ. თუ ხვდებიან, მაშინ უფრო უარესი, გამოდის, რომ სპეციალურად შექმნეს კორუფციის ბუდე, რომელშიც ყველაა გაბმული. აი, ესაა ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, თუ როგორი გზით უნდა წასულიყვნენ.

– ამას შემდეგ მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია ყველა სფეროში?

– რა თქმა უნდა! ადამიანს რომ აუკრძალავ მუშაობას, გადაადგილებას, რომ შემოსავალი მიიღოს, ცხადია, ამ ადამიანმა როგორ უნდა იარსებოს?! ჰაერზე ხომ არ არის ეს ყველაფერი, არა?! ზოგი მოერგო ვითარებას, მასწავლებელი სახლიდან ასწავლის. კი ბატონო, მაგრამ ბევრი ხომ ვერ მოერგო? იმათ რა პასუხს აძლევს სახელმწიფო? ამდენი ადამიანია უმუშევრად დარჩენილი. ამდენი ადამიანი ჩავარდა უზარმაზარ გაჭირვებაში. ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ბოლო სამოოთხი თვეა, შემოსავალს ვერ იღებს. შეიძლება, ვიღაცას ჰქონდა დანაზოგი და ცოტა ხანს გაძლო, მაგრამ ახლა აღარ აქვს. ეს დანაზოგი უსასრულოდ ხომ არ გეყოფა!

– სახელმწიფოს დახმარების იმედად ყოფნა შეიძლება?

– დახმარებებიც საიდან უნდა მოვიდეს? გაიზარდა სესხები. საქართველოს ვალმა შიდა პროდუქტის 57,5 მიაღწია. 12%-ზე მეტით გაიზარდა ეს ვალი შემოდგომაზე. ეს არის არასწორად დანახული პრობლემის, შემდეგ არასწორი გადაწყვეტილებებისა და არასწორად განხორციელებული აგორებული ტალღის ამდენი ცუდი შედეგი. ეს შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს ისე კარგად, რადგან, ასე თუ ისე, ადამიანებს მაინც გააქვთ თავი მინიმუმის დონეზე. თუმცა თანდათან მეტი პრობლემა გამოიკვეთება. იმედს ვიტოვებ, რომ თებერვლიდან მოიხსნება ეს შეზღუდვები, მაგრამ არის ინდუსტრიები, რომელთა ფეხზე დაყენება პრაქტიკულად შეუძლებელია უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

– ყველაზე მეტად რომელ დარგს გაუჭირდება ფეხზე წამოდგომა?

– ეს არის ტურიზმი, სხვადასხვა სერვისი, სასტუმროები და სხვადასხვა დაწესებულება. ამისი აღდგენა და იმ შემოსავლების მიღება, რაც მათ ჰქონდათ შარშან, ეს იქნება მინიმუმ ორი-სამი წლის შემდეგ, იმიტომ რომ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. საიდან შემოვა ასე უცებ ამდენი ტურისტი? 10 მილიონი ტურისტი ჩამოვიდა გასულ წელს. საიდან ჩამოვა 10 მილიონი ასე უცებ?! ეს გამორიცხულია. იმათაც სერიოზული პრობლემები შეექმნათ. წინდაუხედავი მთავრობები მარტო ჩვენ კი არა გვყავს, სხვებსაც ჰყავთ. შესაბამისად, ბევრმა გააკოტრა საკუთარი ხალხი.

– კიდევ უფრო დიდი სიდუხჭირე ელის ქვეყანას?

– არ მინდა, ასე გადაჭრით ვთქვა. გააჩნია, როგორი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული და როგორი იქნება თავად ადამიანების მზაობა, უპასუხონ ახალ გამოწვევებს. მაგალითისთვის გეუბნებით, ადამიანს თუ ჰქონდა რესტორანი, გონივრული იქნება, რომ მან ეს მაღაზიად გადაიკეთოს, დროებით მაინც. მესმის, რომ შესაძლოა, ეს მისთვის არაპროფილური იყოს, მაგრამ ეს იქნება გამოსავალი. თუკი ადამიანები გამოიჩენენ ალღოს და ცვლილებებს განახორციელებენ, მაშინ შეიძლება ამ სიტუაციის გადაგორება. თუმცა ესეც დროში იწელება. როცა ბიზნესს ეუბნები, რომ ხვალ გაგხსნი, ზეგ გაგხსნიო, ადამიანი ლოდინის რეჟიმშია და ვერაფერს აკეთებს. მაშინ უნდა უთხრა, რომ მინიმუმ 6 თვე ვერ გაგხსნიო და მაშინ მისთვისაც გასაგები გახდება, რომ უნდა იმოქმედოს. უთხრეს, საახალწლოდ გაიხსნებითო და დღეს ისევ უთხრეს, არ გაიხსნებითო. ასე ძალიან რთულია, არაფერი გამოდის.

– მოლოდინის რეჟიმში არიან და უჭირთ რადიკალური გადაწყვეტილების მიღება?

– რა თქმა უნდა. ჰგონია, რომ აი, ახლა გაიხსნება და ცვლილებებს აზრი აღარ აქვს. დავუშვათ, ტექნიკის მაღაზიაში მუშაობდა ადამიანი, დაიკეტა ეს მაღაზია და აღარ სჭირდება ამდენი კონსულტანტი. რა ქნან ამ ადამიანებმა?! მათ კიდევ უფრო მეტი პრობლემა აქვთ. მესაკუთრეების გარდა, დაქირავებულ ადამიანებსაც სერიოზული პრობლემები აქვთ.

– უხელფასოდ და უმუშევრად დარჩა უამრავი ადამიანი.

– ბევრი არის უპერსპექტივოც, იმიტომ რომ ახალი რაღაცის გასაკეთებლად მას არა აქვს დანაზოგი და რესურსი. მესაკუთრეს უფრო აქვს რესურსი, ვიდრე იმ დაქირავებულ ახალგაზრდას, რომელიც კონსულტანტად მუშაობდა. დიდი ალბათობით, ამ კატეგორიის ადამიანებს არანაირი დანაზოგი არ ექნებათ, რომ კიდევ 3-4 თვე გადააგორონ. უმძიმეს სიტუაციაშია ძალიან ბევრი ადამიანი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გაერთიანებული ოპოზიციის 36-ვე წევრმა დეპუტატობაზე უარი თქვა

განცხადებების განხილვას 2 კვირა დასჭირდება

ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპოზიცია მანდატებს თმობს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შემდეგ 16 დეკემბერს საკანონმდებლო ორგანოს ენმ-გაერთიანებულმა ოპოზიციამ მიმართა. ლევან ბეჟაშვილის მიერ წარდგენილ 33 განცხადებაში იყო პარტიიდან წასული გრიგოლ ვაშაძის და გაერთიანებაში შემავალი რესპუბლიკური პარტიის წევრების განცხადებებიც.

„მთავარის“ ცნობით, განცხადება დაწერა გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალმა კიდევ სამმა დეპუტატმა და ენმ-გაერთიანებულმა ოპოზიციამ, საბოლოო ჯამში, არჩევნებში მოპოვებული 36-ვე მანდატი დათმო.

განცხადებები დაწერეს „ევროპული საქართველოს“, „ლელოსა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრებმაც.

მანდატებზე ღიად თქვა უარი „გირჩმა“, თუმცა განცხადების დაწერას ჯერ არ ჩქარობს. სავარაუდოდ, ისიც უახლოეს დღეებში მიმართავს პარლამენტს განსხვავებით პარტია „მოქალაქეებისგან“, რომელიც არ აპირებს არც სიის ჩახსნასა და არც მანდატებზე უარის თქმას, ვიდრე მოლაპარაკებები არ დასრულდება.

როდის გაიმართება მომდევნო რაუნდი, ჯერ უცნობია. ფასილიტატორები ინდივიდუალურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს ბოიკოტის რეჟიმში მყოფ ლიდერებთან.

პარტია „მოქალაქეების“ ბარიერგადალახული წევრები ფიქრობენ, რომ თუ მმართველი გუნდი საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილებებს და საარჩევნო რეფორმას დასთანხმდა, ეს უკვე დიდი მიღწევა იქნება იმისთვის, რომ ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

„ქართული ოცნება“ კი ოპოზიციას მხოლოდ საგამოძიებო კომისიის შექმნას და საარჩევნო რეფორმას სთავაზობს და ისევ იმედი აქვს, რომ პარლამენტის ცარიელი სკამები მალე შეივსება ოპოზიციის დეპუტატებით.

პარლამენტს უკვე 50-მა დეპუტატმა მიმართა უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტი უკვე შეტანილი განცხადებების განხილვას ერთ კვირაში დაიწყებს, რასაც ორკვირიანი პროცედურა ახლავს. ამის შემდეგ უყრიან „ქართული ოცნების“ დეპუტატები კენჭს უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

ბიორგი ვაშაძის მამა კოვიდ 19-ით გარდაიცვალა

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის მამა კორონავირუსით გარდაიცვალა.

73 წლის გუტა ვაშაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დღეების განმავლობაში მძიმე იყო და ის აპარატზე იყო შეერთებული.

გიორგი ვაშაძის მამა მედიკოსი იყო და ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მკურნალობდა.

კორონავირუსით ინფიცირებული იყო ასევე გუტა ვაშაძის მეუღლე, რომელიც უკვე გამოჯანმრთელებულია.

გუტა ვაშაძე თავდაპირველად ქუთაისის კლინიკაში იყო მოთავსებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ კი ის თბილისში გადმოიყვანეს.

იუსტიციის ახალი მინისტრი გოჩა ლორთქიფანიძე გახდება

მას შემდეგ, რაც მეათე მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე საპარლამენტო თანამდებობები გადანაწილდა, ახლა საზოგადოების ინტერესი აღმასრულებელი ორგანოს დაკომპლექტებისკენაა მიმართული. ვიდრე მინისტრთა კაბინეტი გადახალისდება, მანამდე კულუარებიდან ცნობილი ხდება, რომ ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ იგეგმება და ის თითქმის უცვლელი დარჩება 1-2 გამონაკლისის გარდა.

მოგეხსენებათ, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურად ისევ გიორგი გახარია წარუდგინა.

მას შემდეგ, რაც თეა წულუკიანმა იუსტიციის მინისტრობიდან პარლამენტში გადაინაცვლა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, ყველაზე დიდი ყურადღება ამ ეტაპზე სწორედ მისი სამინისტროსკენაა მიმართული.

როგორც „ამბებმა“ სანდო წყაროსგან გაარკვია, თეა წულუკიანის სავარაუდო შემცვლელად მისი მოადგილე და ამჟამად მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა ლორთქიფანიძე განიხილება, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 2013 წლიდან მუშაობს.

„ეს კაცი 6 შვილს მარტო ზრდის“

კალაძემ მამა-შვილს აფრიკის დასახლებიდან ბინა აჩუქა

თბილისის მერი კახა კალაძე მამა-შვილს, რომელთა ფოტომ სოციალური ქსელი მოიცვა, ბინა აჩუქა. ამის შესახებ კალაძე „ფეისბუქზე“ წერს.

„ახლა დავბრუნდი მერიიდან და არ შემიძლია, დღესვე არ დავწერო, როგორც მერმა, უკვე ვისაუბრე დღევანდელ მოვლენებზე, უბრალოდ ჩემი პირადი პოზიცია უნდა დავწერო – მედიაში რომ დაიწყეს მამა-შვილის ფოტოს გავრცელება როგორც მსხვერპლის, გული მომიკვდა, ტყუილის ტირაჟირებისთვის ბავშვი რატომ-თქო? ისიც კი გავიფიქრე, სახე მაინც დაეფარათ, იქნებ არ უნდა ოჯახს ბიჭუნას ასე გამოჩენა-თქო. მეგონა მაგ ზღვარს არასდროს უნდა ჩავცდეთ, რომ ანტიპიარისთვის ბავშვები გამოვიყენოთ.

მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ ბავშვი და მამამისი იქვე ცხოვრობენ, ჩემი და ჩემი შვილების ფოტოები მიაშენეს მათ ფოტოს. ვერც ვბრაზდები, მგონი, არც მიკვირს.

ასეთ ადამიანებს რა გითხრათ სხვა? – ეგეთი ქცევა თქვენი არჩევანია. მთავარი ამჯერად ჩემთვის ისაა, რომ როცა შემიძლია დავეხმარო, ვეხმარები, ასე გამზარდეს, ასე ვზრდი ჩემს შვილებს.

გმირობაა, მარტო კაცი ზრდის 6 შვილს. გმირი მამაა და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მხარში ამოვუდგე მას. გავარკვიე საღამოსვე, რა პირობებში ცხოვრობს და ჩემი პირადი საჩუქარი, ჩემი ოჯახის სახელით, იქნება ბინა ამ ოჯახისთვის.

ამდენი სიძულვილის, ცილისწამების და ტყუილის ფონზე ამ ოჯახის გაბედნიერებაა ჩემთვის დღევანდელი დღის შედეგი“, – წერს კალაძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძე აფრიკის დასახლებაში წულაიასა და ოდიშარიას მშენებლობისთვის ტერიტორიას უთავისუფლებს“

გიორგი გუგავა: „ქვეყანაში არის სოციალური ფაშიზმი და დამყარებულია ოლიგარქიული დიქტატურა“

იაგო ნაცვლიშვილი

მძიმე კადრები ვნახეთ სამშაბათს, 15 დეკემბერს, აფრიკის დასახლებაში, სადაც ადამიანებს ბარაკები ბულდოზერებით დაუნგრიეს. მერიამ მიზეზად უკანონო მშენებლობა დაასახელა და თქვეს, რომ ადამიანებს არ ჰქონდათ დარეგისტრირებული. ყველას ესმის სახელმწიფოს როლი, რომ ვერ წაახალისებს უკანონო მშენებლობებსა და ქაოტურობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხდება კორონავირუსის პანდემიის დროს და ცივ ზამთარში, ამას გარდა, ქვეყანაში მძვინვარებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ფოტოზე ასახულ მამა-შვილს კახა კალაძემ ბინა აჩუქა.

რა გვითხრა აფრიკის დასახლებაში განვითარებულმა მოვლენებმა? რამდენად გამართლებულია ამ ფონზე საახალწლოდ მილიონების ხარჯვა და როგორ უნდა გავიგოთ კალაძის მიერ ფროიდის სიტყვების ციტირება? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს.

— მძიმე კადრები ვნახეთ, რაც აფრიკის დასახლებაში მოხდა. გვესმის, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, კანონის ჩარჩოებში მოაქციოს ეს ყველაფერი, მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყანა სიღარიბის პირასაა, მით უმეტეს, ამ ვითარებაში, როდესაც პანდემია და ყინვაა. საით უნდა გადაიხაროს სახელმწიფო პოლიტიკა?

— ფაშიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელ ბენიტო მუსოლინის ნათქვამი აქვს, რომ მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს კი — კანონი. მართლაც სოციალური ფაშიზმია ის, რაც ქვეყანაში ხდება დღეს. ხელისუფლებაში მყოფი მილიონერებისთვის თურმე ყველაფერი შეიძლება, დანარჩენებისთვის კი კანონი არსებობს. თუ ფაშისტები ეთნიკური ნიშნით ყოფდნენ, ესენი სოციალური ნიშნით ყოფენ.

ის, რაც გუშინწინ ვნახეთ, იყო ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, როდესაც ამ ცივ ზამთარში სოციალურად შეჭირვებულს ტოვებ უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ, მით უმეტეს, ბავშვებთან ერთად. დანაშაულს ჩადის ხელისუფლება იმ მოტივებით, რომ თითქოს კანონს აღასრულებს. მაშინ სად არის კანონი, როდესაც 1 ლარად აჩუქეს ივანიშვილს პუშკინის სკვერი, გადასცეს მილიონობით კვადრატული მეტრი მიწა მთელი საქართველოს მასშტაბით, მისცეს თაბორის მთა, მთელი სოლოლაკი დაიკავა. ასევე კალაძემ რომ დაითრია თბილისში მიწის ნაკვეთები, მან და მისმა მეგობრებმა ყველგან კორპუსი რომ ჩააკვეხეს და მილიონებს აკეთებენ მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმეტესობა გამწარებული და გაღატაკებულია.

— კორპუსების აშენება აღნიშნეთ და ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ვინმეს ხომ არ აქვს ინტერესი, აქაც კორპუსები ჩადგან?

— გაათავისუფლებს ამ ტერიტორიას და მერე ან გაყიდის, ან გადასცემს სამშენებლო კომპანიას, რათა მან და მისმა მეგობრებმა, წულაიებმა და ოდიშარიებმა, მშენებლობები აწარმოონ.

— ეს თქვენი ვარაუდია თუ გაქვთ კონკრეტული ინფორმაცია?

— დარწმუნებული ვარ, ასე იქნება, ასე აკეთებენ ყოველთვის. სხვანაირად გაუკეთებიათ ოდესმე?! ამ ქვეყანაში ეს ქურდები მილიონობით ლარს იპარავენ. არც ერთი ნორმალური საზოგადოება არ მოითმენდა, ეს რომ პარიზში გაეკეთებინათ, ან ბერლინში, ან ნებისმიერ დასავლური საზოგადოებაში. იქ რომ ეს გაეკეთებინათ, საზოგადოება კალაძეს მერიიდან გამოათრევდა.

— არსებობს ეს პრობლემა, რომ თბილისში დიდი რაოდენობით არის უკანონო მშენებლობები, არ აქვთ საკუთრებაში და ა. შ. ეს როგორ უნდა მოგვარდეს?

— მთელი თბილისი ლამის უკანონო მშენებლობებით არის გაშენებული და მერეა დაკანონებული. ნაძალადევის რაიონი მთლიანად ასე აშენდა. ამას თავი დავანებოთ. ამ საკითხების მოგვარება ბულდოზერით კი არ ხდება, არამედ შესწავლა სჭირდება ინდივიდუალურად. ყველას პირობა და მდგომარეობის შესწავლა უნდა მოხდეს. ადამიანებს ზოგს გაჭირვებით და ზოგს რა მიზნით გაყიდული აქვს ქონება იმ მახინჯი ოლიგარქიული სისტემის გამო, როდესაც მილიონერთა კლასი ყოველდღიურად ძარცვავს ჩვენს მოქალაქეებს. ზოგმა შვილის ოპერაციისთვის გაყიდა სახლ-კარი. ვინმე ფიქრობს ამაზე?! ეს კონსტიტუციური უფლებაა, რომ საცხოვრისი ჰქონდეთ. ასეთ ადამიანებს დროებით სარგებლობაში უნდა

გადასცე, რომ გაყიდვის უფლება არ ჰქონდეთ. ან სამშენებლო კომპანიებს გაუკეთონ დათქმა, რომ 200 კვ/მ სოციალური საცხოვრისისათვის გამოიყოს. ამით შეიქმნებოდა საცხოვრისის ფონდი და, ვისაც არ აქვს საცხოვრისი და მოკლებულია ყველა შესაძლებლობას, ეს საცხოვრისი მიეცემოდა.

— მერია გვეუბნება, რომ აქვთ სახლები.

— თურმე ჭიათურაში ან კახეთში რომელიღაც სოფელში ადგილი აქვს, მაგრამ იქ აქვს იმის პირობები, რომ ოჯახთან ერთად იარსებოს?! იცის ვინმემ, რამ აიძულა, იმ ადგილებზე წასულიყვნენ დასასახლებლად?! მე ზუსტად ვიცი ეს ადგილები. იქ იყო მუნიციპალური ნაგავსაყრელი. როგორ გგონიათ, იქ ვინმეს დასახლება სიამოვნებს?! საშინელი ქარი და ტალახია. აეროპორტთან ახლოსაა და იქიდან სხდებიან თვითმფრინავები აეროპორტში. ვინმეს სიამოვნებს იმ უბედურებაში რაღაც ქოხმახების წამოჭიმვა?! ცხოვრებამ აიძულა.

— ამ გაჭირვებისა და ყველაფრის ფონზე, რა მდგომარეობაშიც ქვეყანაა, რამდენად გამართლებულია მილიონების ხარჯვა საახალწლოდ მორთვა-მოკაზმვაში?

— ეს საერთოდ კატასტროფაა. ქვეყანა გადაკეტეს. ხალხს მოუსპეს არსებობის ყოველგვარი საშუალება და დისტანციურ კონცერტებს ვატარებთო, მილიონიან ნაძვის ხეს დგამენ. საზოგადოების წარმოუდგენელი დაცინვაა. ოფიციალური სტატისტიკით, ნახევარი მილიონი მშიერია, ისე კი მეტია, როდესაც ადამიანები უკიდურეს სიღარიბესა და სიღატაკეში ცხოვრობენ. შენ რა გეზეიმება, რა გეკონცერტება და რა გემღერება?! ვისთვის აკეთებენ? ლოკდაუნი ხომ გამოაცხადეს და გადაკეტეს ყველაფერი და ყველას აუკრძალეს ეკონომიკური საქმიანობა. ახლა კი თვითონ გრძნობენ თავს ბედნიერად. ბედნიერები არიან და ეკონცერტებათ მათ.

— ვისთვის აკეთებენ კონცერტებს?

— არ ვიცი. უნდათ, შექმნან იმის ილუზია, რომ ბედნიერ ქვეყანაში ვცხოვრობთ, დალაგებულია ყველაფერი და გვეკონცერტება და გვემღერება, მაშინ როდესაც ახალ წელს ბევრი მშიერი შეხვდება. შეიძლება, ხმელი პური ჰქონდეთ მარტო და ერთი მათ ჰკითხონ, ეკონცერტებათ?!

გაგვიმზადეს საახალწლოდ უკვე. 21 დეკემბერს არის ჩანიშნული სემეკის სხდომა და აძვირებენ ელექტროენერგიის ტარიფებს. ესენი არიან მძარცველთა ბანდა. ქვეყანაში არის სოციალური ფაშიზმი და დამყარებულია ოლიგარქიული დიქტატურა. პრივილეგია მინიჭებული აქვს ერთ კლასს, დანარჩენები კი განწირული არიან მონობისა და შიმშილისათვის, წართმეული აქვთ ყველა უფლება. კანონიც ოფიციალურად შერჩევითი აქვთ. როგორც მუსოლინი ამბობდა, მათთვის ყველაფერი, დანარჩენებისთვის — კანონი, სახრე, სასჯელი, ციხე, შიმშილი, სიკვდილი. აი, ეს არის ჩვენი არშემდგარი სახელმწიფოს სახე.

— კალაძემ თქვა, რომ ფროიდს აქვს ნათქვამი, რა ძალა აქვს ფიქრებს, ცუდად არასდროს იფიქრებდითო. გვახსოვს ივანიშვილის ცნობილი ეთერი ნიცშეს შესახებ. ნიცშედან ფროიდამდე — ეს არის „ქართული ოცნების“ 8-წლიანი მმართველობის პოლიტიკა?

— რა იციან ნიცშე და ფროიდი?! ვიღაცამ უთხრა ფრაზა. სკოლაში არ აქვთ წიგნი ნაკითხული, მას — მით უმეტეს. კალაძემ კიდევ უფრო ამაზრზენი საქციელი ჩაიდინა, ვიდრე იმ დღეს, რაც მოხდა აფრიკის დასახლებაში. ვითომ შეწუხდა. ქართული ქველმოქმედების ანატომიას ჰქვია გრძელმოქმედება. ეს არის მთელი ანატომია. მოიპარავენ ხალხის ფულს, მილიონებს დაიტაცებენ და მერე ვიღაცას ამ ნაძარცვიდან მცირეს მიუგდებენ. მიიყვანენ ტელევიზიებს, ფოტოგრაფებს, მათ ტროლებსა და ბოტებს და ატეხენ ამბებს. ამით უნდათ აჩვენონ ხალხს, როგორი ქველმოქმედები არიან. მეტი არ აუდგათ გვერდები. მერე კი ისევ გააგრძელებენ იმავე ხალხის ძარცვასა და ყვლეფას. ეს არის ფარისევლობა. ეს არის წარმოუდგენელი ბანდა.

„სააკაშვილის დროს რუსებმა ახალი მიწები და ბიზნესის 90% მიიტაცეს“

გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში იმიტომ არის, რომ უამრავ ადამიანს არ უნდა ნაციონალების დაბრუნება“

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ გაერთიანებული რადიკალური ოპოზიცია ჩიხში შევიდა. ითვლება, რომ გრიგოლ ვაშაძის წასვლამ პარტიიდან და პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან ოპოზიცია დიდად დააზიანა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან გიგლა ბარამიძეს.

მარიამ მჭედლიშვილი

გიგლა ბარამიძე:

— ოპოზიცია მართალია იმაში, რომ 31 ოქტომბერს გამართული არჩევნები არ შედგა. იყო გაყალბება. ამიტომ საჭიროა რიგგარეშე არჩევნები. მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ჩვენი პარტნიორების დახმარებითა და შუამავლობით არ დამთავრებულა. ჩემი აზრით, ამ მოლაპარაკებების თემა უნდა იყოს ვადამდელი არჩევნები. ყველა პოლიტიკოსი თვითონ წყვეტს, თუ რა უნდა გააკეთოს. გრიგოლ ვაშაძის წასვლამ, რასაკვირველია, ზიანი მოუტანა ნაციონალურ მოძრაობას. პირადად მე ამ პარტიაში მიმდინარე პროცესები არ მაღელვებს. არც იმაზე შევწუხდები, თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება.

— თქვენ წინა ხელისუფლების პოლიტიკური დევნილი იყავით და ამას იმიტომ ამბობთ?

— დიახ და სააკაშვილის სექტანტური რეჟიმის მიმართ ისევ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. ცოტა ხნის წინ საარჩევნო ცვლილებების საჭიროებამ ოპოზიცია გააერთიანა. უბრალოდ, ჩვენ ყველას ერთი მოთხოვნა გვქონდა. ნაციონალური მოძრაობის მიმართ პირადად მე ჩემი დამოკიდებულება არც შემიცვლია, თუმცა ამ პარტიის ახალ გაუსვრელ სახეებს არაფერს ვერჩი. ნაციონალური რეჟიმის გასვრილი ფიგურებისაგან შეურაცხყოფელია დარიგებების მოსმენა. ასევე თვალთმაქცურია ადამიანის უფლებებზე საუბარი არაპოლიტიკოსებისაგან, რომლებიც დაკავშირებული არიან ნაცმოძრაობასთან.

ეს პირები გაკვრით ახსენებენ ნაცმოძრაობის პატარა შეცდომებს. რასაც ისინი შეცდომებს ეძახიან, დანაშაულია! „ქართული ოცნების“ სალაზანობა იმაში მდგომარეობს, რომ წინა რეჟიმის წარმომადგენლებს საკადრისი არ მიუზღო. ვსაუბრობ მათზე, ვინც დამნაშავეა, ვინც გარეულია უმძიმეს ბოროტმოქმედებებში და არა ნაციონალური მოძრაობის უდანაშაულო წევრებზე. ვერაფრით მოვიწონებ დასავლეთის ქვეყნების ელჩებზე თავდასხმებს. განსაკუთრებული შეტევა განხორციელდა აშშ-ის ელჩზე. არადა, ამ ელჩების დახმარებით რამდენიმე თვის წინ მოხერხდა შეთანხმება უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

— ამ შეთანხმების შედეგად მივიღეთ ახალი საარჩევნო მოდელი?

— ცხადია. არჩევნები ამ მოდელით ჩატარდა. ეს მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო. თუ მაშინ მოსწონდათ ეს ელჩები, ახლა რატომღა ამოიჩემეს?! ყველაზე ადრე ვუხდიდი მადლობას უცხოელ დიპლომატებს შუამავლობისათვის. ამასთან, შეწუხებული ვიყავი ჩვენი შიდა პრობლემით.

— იმით, რომ ერთმანეთთან დალაპარაკება არ შეგვიძლია?

— ხელისუფლება მოსახლეობასთან (მათ შორის, პოლიტიკოსებთან) საერთო ენას ვერ პოულობს. ასე რომ, ელჩებისადმი უპატივცემულობა, მათი ნაბიჯების თვალთვალი არ არის მისაღები. ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამ მომხდარა და ხდება, ამიტომ გასაოცარი არ იქნება, თუ ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შევა.

— რაოდენობასაც აქვს მნიშვნელობა. 10 ოპოზიციონერი თუ შევა, ეს უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობაა.

— რაოდენობაზე ვერაფერს გეტყვით. შეიძლება, ოპოზიცია ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ შევიდეს პარლამენტში. პარლამენტის ცარიელი დარბაზიც გვინახავს. არჩევნებამდე, წინა მოწვევის პარლამენტში, ოპოზიციის ბოიკოტის გამო ცარიელი არ იყო დარბაზი?! ამ ბოლო დროს ოჯახებში შევარდნასა და ოჯახების თვალთვალზეც საუბრობენ. ამაზე ბევრად უარესი ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. მაშინ იყო თუ იყო ოჯახების აწიოკება და ოპონენტების დევნა, მიყურადება, თვალთვალი და სხვა. ეს ჩემს თავზე გამოვცადე. ჩემი ოჯახი კი დაზარალებულია. მე 9 წელი ვიყავი დევნილი და საქართველოდან გადახვეწილი. ეს სააკაშვილის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა. ისმინებოდა ოჯახის ტელეფონი. მიუხედავად იმისა, რომ აქ არ ვიმყოფებოდი, ყოველკვირა უვარდებოდნენ ჩემს ოჯახს და ჩხრეკდნენ. ჩემს გოგონას, რომელიც იმ დროს 11 წლისა იყო, თვალის ბადურა დაუზიანდა. ამის გამო სისტემატურად ესაჭიროება თვალის ოპერაციები. ჩემზე და ჩემს დაზარალებულ ნათესავებზე ნერვიულობას გადაჰყვა მამაჩემი, აკადემიკოსი რევაზ ბარამიძე. ჩემს ოჯახს უთვალთვალებენო, ისეთი ხალხი ამბობს, რომელიც ამდენად დაზარალებული ნამდვილად არ არის. მეუღლის მანქანით გადაადგილებას დააკვირდნენ და ეგ იყო.

— ოპოზიციის მოთხოვნების მიუხედავად, პარლამენტიც ამუშავდა და აჭარის უმაღლესი საბჭოც. მალე მთავრობაც დაკომპლექტდება.

— ნაციონალური მოძრაობის შემხედვარე ხელისუფლება გაივაკებს, აბა, რა იქნება! ხელისუფლება ბევრ შეცდომას უშვებს. თბილისის „აფრიკის“ დასახლებაში მომხდარი ერთ-ერთი მაგალითია. მომძლავრდა კორუფცია. ყველა სფეროში ჟამიანობაა. ამის მიუხედავად, ხელისუფლებას არაფერი ემუქრება. „ქართული ოცნება“ მდგომარეობას ინარჩუნებს იმის წყალობით, რომ უამრავ ადამიანს არ უნდა ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება. ამასობაში იჩაგრებიან ჯანსაღი, პატიოსანი, ეროვნულ პოზიციებზე მდგომი პოლიტიკოსები.

— წესით, ქართულ პოლიტიკაში ცვლილებები უნდა მოხდეს.

— მეც ვფიქრობ, რომ ცვლილებები გარდაუვალია. სხვა თაობის, ასე, 30 წლის ადამიანების მონაწილეობით ბევრი რამ მოხდება. არ შეიძლება, მთელი პოლიტიკა ააგო ვიღაცის წინააღმდეგ ზიზღზე და შენი თავი განადიდო.

— ამას ვისზე ამბობთ?

— ნაციონალურმა მოძრაობამ ასეთ პოლიტიკას საფუძველი ჩაუყარა, „ქართულმა ოცნებამ“ კი გააგრძელა. ოღონდ, გააგრძელა ნაკლები ენერგიითა და აგრესიით.

— გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ გრიგოლ ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობას ჩამოშორდა რუსეთის დავალებით. მოსკოვმა დაავალა მას, მოშორდეს გემს, რომელიც იძირება. ხაინდრავამ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთიდან მართული ნაცმოძრაობა რუსებს აღარ სჭირდებათ.

— ნაცმოძრაობის რუსეთთან პირდაპირ კავშირზე დოკუმენტები არ მაქვს, თუმცა ფაქტია, რომ სააკაშვილის დროს რუსებმა ახალი მიწები და ბიზნესის 90% მიიტაცეს. 2008 წელს საქართველოს ხელისუფლება წამოეგო გადმოგდებულ ანკესს, რის შემდეგ ბევრი რამ დაკარგა. ნაცმოძრაობა ევროატლანტიკურ ინტეგრაციას მამაო ჩვენოსავით იმეორებს. საქმით ნაციონალების ხელისუფლება სხვა რამეს აკეთებდა. მათი წყალობით საქართველოდან გაყვანილი ბაზები მობრუნდა, დაკარგულ ტერიტორიებს კოდორი და ახალგორი დაემატა, ეკონომიკის მთელი დარგები კი რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდა.

ვანო მერაბიშვილს ამაზე რომ კითხვა დაუსვეს, თქვა, რომ ფულს სუნი არ ასდის. რაზეც დოკუმენტები არა მაქვს, იმაზე ვერ ვისაუბრებ, ფაქტები კი გავიხსენე.

„მოლაპარაკებები ჩიხშია შესული“

რამაზ საყვარელიძე: „ზოგი პოლიტიკოსი შეიძლება საერთოდ წავიდეს პოლიტიკიდან და ზოგიც პარლამენტში შევიდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ცნობილი გახდა, რომ „ამნისტიის აქტს“ მიიღებს მთავრობა, თუმცა მიხეილ სარჯველაძე, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, აცხადებს, რომ შეიძლება რურუა ვერ მოხვდეს, რასაც გიგი უგულავას შეფასება მოჰყვა, მაშინ რა პოლიტიკური ამნისტია იქნება ეს. რას იტყვით?

– სახელმწიფო, რომელიც აცხადებს, რომ პოლიტპატიმრები არ ჰყავს, სრულიად გაუგებარია, პოლიტიკურ ამნისტიას იღებდეს. 2012 წლის შემდეგ მოსული ხელისუფლება თვლიდა, რომ პოლიტპატიმრები იყვნენ ქვეყანაში და მან მიიღო პოლიტიკური აქტი.

დღეს ამ კანონპროექტში რა შინაარსი იქნება ჩადებული, არ ვიცი. თან „ამნისტიის აქტი“ ეხება მუხლებსა და არა პიროვნებებს. თუმცა, თუ კონკრეტულ პიროვნებაზე იქნება საუბარი, მაგალითად, ამ შემთხვევაში რურუაზე, შეიძლება, კანონპროექტში ის კონკრეტული მუხლი შეიტანო, რომელიც გაათავისუფლებს რურუას.

– შეიძლება, ეს „აქტი“ მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ნაწილი იყოს და ამით ირიბად ცდილობდეს ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას?

– ვერ გეტყვით, გააჩნია, რა შინაარსი იდება ამ აქტში და ვის შეეხება.

– თქვენ როგორ აფასებთ გრიგოლ ვაშაძის გადაწყვეტილებას?

– ახლა ჩვენ პარტიების შიგნით გადალაგების პროცესს ვადევნებთ თვალ-ყურს. არ ვგულისხმობ მხოლოდ გრიგოლ ვაშაძეს, ცოტა ხნის წინ იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი „გირჩში“. „გირჩიც“ მისმა თავმჯდომარემ დატოვა. ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება.

– ნაციონალურ მოძრაობაში თუ სხვა პარტიებში?

– სხვა პარტიებშიც და, არ არის გამორიცხული, თავად ნაციონალურ მოძრაობაშიც. ეს ყველაფერი უკავშირდება ბოიკოტის თემას. ოპოზიციას ბოიკოტი რომ არ გამოეცხადებინა, მსგავსი რამ არც ერთ პარტიაში არ მოხდებოდა. არჩევნების მიზანი იყო გამარჯვება, პარლამენტში შესვლა და, თუ ამ მიზანზე უარს იტყვიან პარტიები, მაშინ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ პარტიებს დატოვებენ. მათ, უბრალოდ, ვერ გაიგეს, რა ხდება. ბევრისთვის, მათ შორის გრიგოლ ვაშაძისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ პარლამენტიდან უფრო მეტის მიღწევა შეიძლება, როგორც ჩანს, გაუგებარი აღმოჩნდა ბოიკოტის თემა. იმავეს აცხადებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, შუამავალი ელჩები.

ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ბევრმა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა – ღირს კი ამ გაუგებრობაში ყოფნა და განერიდონ პროცესებს?!

– საერთოდ პოლიტიკას თუ პარლამენტში შევიდნენ?

– ზოგი შეიძლება საერთოდ პოლიტიკიდან წავიდეს და ზოგიც პარლამენტში შევიდეს. უკვე იყო აჭარაში ეს ფაქტი „რესპუბლიკური პარტიიდან“.

– თუმცა ცნობილია, რომ მან პარტია დატოვა.

– გასაგებია, მაგრამ ეს არის პროცესი, რომელიც ახლა ვითარდება. წევრებისა და პარტიის ინტერესები, როგორც ჩანს, ერთმანეთს არ ემთხვევა. ნათელია, რომ ეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პარტიის პრობლემა არ არის.

– მე-5 რაუნდს ელოდებით? თუ ფიქრობთ, მოლაპარაკებები დასრულებულია ორივე მხრიდან?

– პროცესი იმდენად არის ჩიხში შესული, რომ სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს იმის გააზრება, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მე-5 რაუნდმა, ის რომც გაიმართოს! მანდატები ჩახსნილია, სიები გაწვეულია და რაღა დარჩა მოსალაპარაკებელი?! ოპოზიციამ ამ პროცესს არ აცალა რაიმე შედეგის მიღება. ამიტომ ძალიან მეეჭვება, შემდეგი რაუნდები გაიმართოს. თუ მათ ხელში იქნებოდა მანდატები, როგორც ბერკეტი თუნდაც მოლაპარაკებების მაგიდასთან, მაშინ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ამაზე თავად თქვეს უარი.

– თუმცა ასე ერთპარტიულად ხომ ვერ გაგრძელდება? გასაგებია, რომ კანონებს მიიღებს „ქართული ოცნება“.

– არ არის გამორიცხული, რომ კვლავ ელჩებმა გამონახონ რაღაც გამოსავალი. მათ უკვე გვითხრეს, თუ თქვენ მოინდომებთ, ჩვენ დაგეხმარებითო. შეიძლება, აქ ცალკეულ წევრებთან მოლაპარაკებები იგულისხმება, არ ვიცი. ვნახოთ, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი. ახლა კი ნამდვილად ჩიხშია პროცესი შესული.

ამირან სალუქვაძე: „დღეს მთელი ოპოზიცია ნაცმოძრაობის გავლენების ქვეშ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, არჩევნების შემდეგ პირველი სესია გაიმართა და ოპოზიცია პარლამენტში არ შევიდა. რა გვიჩვენა არჩევნების ჩატარებიდან დღემდე მიმდინარე პროცესმა?

– პოლიტიკურმა პროცესმა აჩვენა ის, რომ პარტიებსა და პოლიტიკოსებში ჯერ კიდევ არის დაბალი პოლიტიკური და თანაცხოვრების კულტურა, ერთმანეთის მიუღებლობა. რასაც ადრე კოაბიტაცია დაარქვეს (უცხოურად), ქართულად თანაცხოვრებაა. დიდი ხანია, თანაცხოვრების კრიზისი გვაქვს. ფაქტია, რომ ნაცმოძრაობა და მისი დანაყოფები მმართველ პარტიასთან ვერ თანაცხოვრობენ.

მმართველ პარტიას ვინც უნდა წარმოადგენდეს, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ ხელისუფლებაში თვითონ არ არიან, ნორმალური ჯანსაღი პოლიტიკური საქმიანობა არ შეუძლიათ. ფაქტობრივად, ოპოზიცია არ გვყავს.

– მაშინ, კოაბიტაცია რა იყო?

– კოაბიტაცია (ქართულად თანაცხოვრება) იყო ის, რაც ნაცმოძრაობას და მთლიანად საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა უთხრა: მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულისა, რაღაც დონეზე უნდა შევჩერდეთ და თანაცხოვრება უნდა შევძლოთო.

– მგონი, ისიც თქვა, ჩვენ ისე არ მოვექცევით ოპოზიციას, ანუ ნაცმოძრაობას, როგორც ისინი გვექცეოდნენო.

– ცოტა სხვაგვარად თქვა, როგორც თვითონ იმსახურებენ, ისე არ მოვექცევითო. როგორც ჩანს, კარგი შედეგი არ მოიტანა საზოგადოებისთვის, რადგან თანაცხოვრების 8 წლისთავზე ვიგებთ, რომ ჩვენ არ გვაქვს განვითარებული პოლიტიკური სისტემა, ვგულისხმობ ოპოზიციურ ფლანგს. დღეს მთელი ოპოზიცია ისევ ნაცმოძრაობის გავლენების ქვეშაა, მიუხედავად ბევრი საექსპერტო კვლევისა და მრავალი განცხადებისა. მე მაქვს პირადად ბევრჯერ ნათქვამი.

პარტიებმა იფიქრონ თავიანთ თავზე, საკუთარ მომავალზე, მოსახლეობის, ამომრჩეველის წინაშე უნდა წარდგნენ საკუთარი იდეოლოგიით, საკუთარი ღირებულებებით, პროგრამებით, მიზნებით, უნდა გვაჩვენონ, რა უნდათ, რას გვთავაზობენ. ერთსა და იმავე ნეგატივზე ორიენტირმა და დესტრუქციამ დაღალა ხალხი. ცა რომ ჩამოიქცეს, ალბათ, ქუჩაში კაციშვილი არ გამოვა, იმდენად დამღლელი და მომაბეზრებელია ძალიან პრიმიტიული აქციები, მივარდნები. რაღაც ფურცლებს დახატავენ, მიცვივდებიან და იძახიან: მონები, მონები! ეს ყველაფერი ზღვარს სცდება.

კრიტიკა უნდა იყოს, მაგრამ – საქმიანი. ახლახან ეკონომიკის მინისტრს ჰქონდა წლის ანგარიში. გარდა დარგობრივი ექსპერტების გარკვეული მცირე ჯგუფისა (არარეიტინგულ გადაცემებში, არარეიტინგულ საეთერო დროს), ჩვენ არ გვინახავს არც ერთი პარტიის არც ერთი შეფასება.

არც იმ პარტიების წარმომადგენლებისაგან მომისმენია ეკონომიკის მინისტრის ანგარიშის საქმიანი შეფასება, რომლებმაც პირველად გადალახეს ბარიერი და არ შედიან პარლამენტში.

– ერთ-ერთ არხზე მოვისმინე შეფასება, რომ ეკონომიკის მინისტრის ანგარიში ორ ფურცელზე დაეტია.

– ვინც მაგას ამბობს, მათი საარჩევნო პროგრამები ზუსტად ორ ფურცელზე დაეტია. „სტრატეგია აღმაშენებლის“ პროგრამა ერთ ფურცელზე არ არის დაწერილი, მხოლოდ ვიდეოლექციებია. „მარშალის გეგმა“ 20 გვერდზეა და ლოზუნგები და სადღეგრძელოებია, მეტი არაფერი. სპეციალურად ჩამოვტვირთე და შევისწავლე. ნაცმოძრაობას, საერთოდ, არაფერი წარმოუდგენია, ზღაპრული დაპირებებით (როგორც ადრე ჰქონდათ) – პენსია, ხელფასები – ბიუჯეტსა და რეალობას მოწყვეტილი. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პარტიებზეც.

სიღრმისეული ანალიზით თავს არ იღლიან. ჯერ ერთი, ეკონომიკის მინისტრს ჰქონდა პრეზენტაცია, რომელიც სლაიდებით იყო წარმოდგენილი და მინისტრი მოხსენებით გამოვიდა. თუ მათ სჭირდებათ ამ მოხსენების ტექსტად მიღება, მოსთხოვონ სამინისტროს და მთელ ანგარიშს მიაწვდიან, მაგრამ მათ ეს არ აინტერესებთ. პოპულიზმი უფრო მარტივია. მარტივია, გამოხვიდე და თქვა, რომ ეკონომიკის მინისტრის ანგარიში ორ ფურცელზე დაეტია. ორ ფურცელზე მხოლოდ ორი სლაიდი არ დაეტევა.

ეკონომიკის მინისტრის ანგარიშს ასეთი რეპლიკა კი არ უნდა მოჰყოლოდა (მით უმეტეს, მთავარი ოპოზიციური არხიდან), არამედ უნდა ყოფილიყო სიღრმისეული, დეტალური გარჩევა ოპოზიციის ექსპერტების, პოლიტიკოსების მხრიდან. ანგარიშში უნდა მოენახათ სუსტი ადგილები, საზოგადოებისთვის უკეთესი უნდა შეეთავაზებინათ, რაც უნდა დაესაბუთებინათ. ამ ყველაფერს ტელეეთერებში ვერ დაასაბუთებენ, მაგრამ ტელეეთერებს უნდა მოჰყვეს შესაბამისი ექსპერტების ანალიზი, პუბლიკაციები სოციალურ ქსელსა თუ ინტერნეტსაიტებზე.

ეს იქნება ნორმალური პროცესი და არა პოპულიზმი, ერთმანეთის ლანძღვა-გინება. ამ ხნის განმავლობაში ვერ დავინახე, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად მუშაობდნენ ქვეყნის განვითარების დოკუმენტებზე, რომლებიც შეეხება განსაკუთრებით ქვეყნის ეკონომიკას, ევროინტეგრაციას.

– ბოლო დროს ე.წ. მთავარი ოპოზიციური ძალა ნაცმოძრაობა და მათი მომხრეები დაკავებული იყვნენ მომრიგებელ ელჩებზე თავდასხმით, მათი კრიტიკით. ნაცმოძრაობის თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძემ პარტია დატოვა და ერთ-ერთ მიზეზად ელჩებზე შეტევის ფაქტორი დაასახელა. როგორ ფიქრობთ, ეს იმას აჩვენებს, რომ ნაცმოძრაობაში დაშლის პროცესები მიმდინარეობს?

– მათი დაშლის პირველი ეტაპი მე-9 მოწვევის პარლამენტში ვიხილეთ. ეს იყო მაშინ, როცა „ევროპული საქართველო“ (ფორმალურად ევროპული, თორემ მათი ქცევიდან გამომდინარე ჩანს, რომ არაევროპელები არიან. ისინი არ გაემიჯნენ, არ დაგმეს ჩვენს პარტნიორებზე, დიპლომატებზე თავდასხმები. უამრავი სხვა მაგალითის მოტანა შეიძლება, საიდანაც ჩანს, რომ მათ ევროპელობის არაფერი სცხიათ) გამოეყო ნაცმოძრაობას და ჩვენ ვიხილეთ ნაცმოძრაობის დაშლის, ორად გაყოფის პირველი ეტაპი.

ახლა ნაცმოძრაობის დაშლის მეორე ეტაპის დასაწყისია. მაშინ, როდესაც პარტიის თავმჯდომარე ასეთი ხმაურიანი განცხადებით ტოვებს პარტიას, ამის ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცევა ნაცმოძრაობას გაუჭირდება. თუმცა ცდილობენ, განცხადებას აკეთებენ – ერთი მხრივ, მადლობას უხდიან, მეორე მხრივ, ისე იქცევიან, თითქოს არაფერი მომხდარა.

პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სასწაული განცხადება გააკეთა, რომელ ელჩებს ვესხმით თავს, რაზე ისაუბრაო.

– როგორ არ ესხმიან. თქვენი აზრით, მოლაპარაკებები საერთოდ ჩაშლილია თუ შეიძლება გაგრძელდეს?

– მოლაპარაკებებზე გავლენას არ იქონიებს, მოლაპარაკებები ჩვეულებრივად გაგრძელდება. შეხვედრები რომ შეწყდეს, „ქართულმა ოცნებამ“ მადლობა უნდა გადაუხადოს ელჩებს მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის, მით უმეტეს, რომ პოზიცია-ოპოზიციის მორიგება ელჩების ფუნქცია საერთოდ არ არის. მათი ლანძღვა სირცხვილია. კიდევ კარგი, გრიგოლ ვაშაძე ამას მაინც მიხვდა, რაც აღნიშნა თავის ინტერვიუშიც, რომელიც „რუსთავი 2-ს“ მისცა.

ამას შარშანაც ვამბობდი, როცა ელჩების ჩართულობით პირველი მოლაპარაკებები გაიმართა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ელჩების ჩართვა ჩვენს შიდაპოლიტიკურ პროცესებსა და მოლაპარაკებებში, უბრალოდ, სირცხვილია და ერთადერთი საკითხია, რაშიც წლების განმავლობაში გრიგოლ ვაშაძეს შეიძლება დავეთანხმო. ალბათ, მეორე საკითხი იქნება ის, რომ მათ პარტიაში ქაოსია და იმ ოდიოზური ფიგურებით, რომელთა გვარებიც მან არ დაასახელა, ისინი ფონს ვერასოდეს გავლენ. განახლების დროც ამოწურულია, ადრე უნდა გაეკეთებინათ.

– გრიგოლ ვაშაძე ოდიოზური ფიგურების გვარებს არ ასახელებს. სამაგიეროდ, სალომე სამადაშვილმა დაასახელა ცნობილ აუდიოჩანაწერში.

– ჩვენ ვიცით, ვინ არიან ეს პირები. ზოგი ჩრდილშია. როგორც ადრე უწოდებდნენ. საუბარია ჩრდილოვან თუ ღამის მთავრობაზე. ეს ხალხი ისევ ადგილზეა: სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი. ცოტა უფრო ფართო წრე იყო, კიდევ რამდენიმე კაცი შედიოდა, მაგრამ დღესდღეობით ხსენებული სამეული დარჩა.

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები სახლში სხედან და ხელფასს რაში იღებენ?“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ასევე ძალიან მტკივნეული საკითხია საბანკო კრედიტები. ძალიან ბევრს ახრჩობს ეს თემა.

– ეს სესხებიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩემი აზრით, ბევრ ადამიანს ჰქონდა წინდაუხედავი სესხი აღებული. ზედმეტად ოპტიმისტურად ჰქონდათ შეფასებული მოვლენები. ხშირად ხდება ხოლმე ასეთი რაღაცები. მათთვის, რა თქმა უნდა, მძიმეა. ამ შემთხვევაში, ალბათ, თვითონ ბანკები მოინდომებენ ასეთი სესხების რეკონსტრუქციას, გადავადებას, რადგან ვერ გადაიხდის ეს ხალხი, გამორიცხულია! მიხვდებიან, ალბათ, ბანკები, რომ გადაახალისონ სესხების ვადიანობა, მოცულობები და დროულად მიხედონ ამ საქმეს. ჩემი აზრით, ეს მათი მხრიდან გონივრული ნაბიჯი იქნება, ხოლო მათი მხარდაჭერა, ბანკებს ვგულისხმობ, შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ შესაბამისი საგადასახადო შეღავათი გაუკეთდეთ ამ მონაკვეთში. მაგალითად, ბანკები მოგების გადასახადს იხდიან და მათ მოგების ნაწილი შეუნარჩუნონ ან რაღაც მსგავსი შეღავათი დაუწესოს სახელმწიფომ.

– ძალიან ბევრ კომპანიას გაუჭირდება ამ სიტუაციიდან თავის დაღწევაო. ასეა?

– კომპანიებმაც უნდა შეცვალონ მიდგომები. დროა, დაიხვეწოს ონლაინვაჭრობები. ეს ზოგადად პერსპექტივაში ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანებისთვის ეს ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება, რომ მსხვილი საქონელი ელექტრონულად შეიძინონ, ვიდრე ირბინონ მაღაზიიდან მაღაზიაში. შევხედოთ, ყველაზე წარმატებული საერთაშორისო კომპანიები რას აკეთებენ.

– დროა, ონლაინგაყიდვებზე გადავიდეთ?

– სერიოზული უცხოური კომპანიები, ამაზონი, იგივე ალიბაბა, სწორედ ამით არიან დაკავებული და ხალხს მოსწონს ეს მომსახურება. თუ ჩვენთან ეს მომსახურება დაიხვეწება და სანდო იქნება, ანუ რასაც შეუკვეთ, ზუსტად იმას მიიღებ, მაშინ ეს პრობლემაც მოიხსნება. უბრალოდ, ნდობის საკითხია და ამას დრო სჭირდება. მე ამის პერსპექტივას ვხედავ. შესაძლოა, ბევრი მაღაზია აღარც კი გაიხსნას ძველი ფორმატით. შეუძლიათ, მარტივად მოაგვარონ ეს საკითხი და უფრო იაფიც იყოს მომხმარებლისთვის. ოფისების შენახვა, უამრავი ადამიანის შენახვა... თუ ეს ხარჯი მოეხსნებათ, პროდუქციასაც გააიაფებენ. ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი რაღაცის გადაფასება მოხდება. ყველა ვერ შეძლებს ონლაინმუშაობაზე გადასვლას, მაგრამ ბევრს შეუძლია, ასე იმუშაოს და საკმაოდ წარმატებულადაც.

– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ შედარებით უმტკივნეულოდ გამოვიდეს ქვეყანა ამ სიტუაციიდან?

– პირველ რიგში, თავი უნდა დაანებოს ისეთი რამის კეთებას, რაც მისი საქმე არ არის. დაიცვას საკუთრება, ადამიანი, საზღვარი. თორემ ხალხი რას გააკეთებს, ეს მისი საქმე არ არის. მისცეს ხალხს იმის საშუალება, რომ თავის თავს მიხედოს. მთავარია, ხალხს ფული არ წაართვან და არ დააყაჩაღონ უაზრო კანონებით. ხალხი თავის თავს უკეთ მიხედავს. ყველამ თავისი საქმე აკეთოს. პირველ რიგში, ეს ბიუროკრატიაა შესამცირებელი, რომლებიც, წარმოდგენაც კი არა გვაქვს, რას აკეთებენ. საქართველოში არის ნახევარ მილიონზე მეტი ბიუროკრატი, რომლებიც საბიუჯეტო ფულს იღებენ. დღეს აღმოჩნდა, რომ ისინი საჭირო საერთოდ არ არიან.

– ყველაზე კარგ სიტუაციაში სწორედ ისინი არიან.

– კი ბატონო. სახლში სხედან, არაფერს აკეთებენ და ხელფასებს მაინც იღებენ. რაში? – არაფრის კეთებაში. საერთოდ არ არის საჭირო, ამხელა არმია იყოს დაფინანსებული. მათ მიერ შესრულებული საქმე არის ნული! დროა, ამაზე საზოგადოებამ ხმა ამოიღოს.

ვალერი ვერულიძე კარტის თამაშის დროს მოკლეს

ქობულეთში 15 დეკემბერს მამაკაცი სანადირო თოფით მოკლეს. მოკლულია ვალერი ვერულიძე, რომლის მისამართით 7-ჯერ გაისროლეს.

ადგილობრივები სავარაუდო დამნაშავეს ასახელებენ და ამბობენ, რომ შესაძლოა მკვლელობა ედუარდ მსხალაძემ ჩაიდინა, რომელიც იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობს, წარსულში ნასამართლევია და დაახლოებულია ე.წ. შავ სამყაროსთან, თუმცა რა შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის მოტივი, ამაზე ვერავინ საუბრობს.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ მკვლელობის დროს ვალერი ვერულიძე კარტს თამაშობდა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის კონსტანტინე ანანიაშვილის ინფორმაციით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების მიზნით.

– ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, ასევე ოპერატიული – სამძებრო ღონისძიებები ტარდება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების მიზნით. ამ ეტაპზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებით დეტალებს ვერ გეტყვით, – განაცხადა კონსტანტინე ანანიაშვილმა.

შს მინისტრის მოადგილემ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის შემაჯამებელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო ცაციაშვილმა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისიის მიერ ორგანიზებულ, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის შემაჯამებელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ონლაინშეხვედრაზე უწყებებმა წარადგინეს კამპანიის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია. ასევე აღინიშნა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (GREVIO) ანგარიშის და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) მეექვსე პერიოდული ანგარიშის წარდგენის მნიშვნელობა საქართველოსთვის.

ნინო ცაციაშვილმა 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ აქტივობებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა პანდემიის პირობებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს პოლიციისადმი მიმართვიანობის ტენდენციებს, არსებულ გამოწვევებსა და გადადგმულ ნაბიჯებს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ კამპანიის პერიოდში, სამინისტროს მიერ ფართო აუდიტორიისთვის წარდგენილი იქნა ანგარიშები: ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულების, აგრეთვე, საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევების სტატისტიკისა და ანალიზის თაობაზე.

ნინო ცაციაშვილმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სამართალდამცველთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ამ მიზნით ორგანიზებულ და მიმდინარე სწავლებებზე, ასევე, ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ სხვადასხვა ინტერაქტიურ შეხვედრაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, პოზიტიურად შეფასდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო სიახლე – ელექტრონული ზედამხედველობის სისტემა, რომელმაც პოლიციას მიანიჭა უფლებამოსილება, მოძალადის მიმართ, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობისას, გამოიყენოს ელექტრონული სამაჯური.

აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანად იმპლემენტაციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დაინერგა დისტანციური სწავლების კურსი და ონლაინტრეინინგები ჩატარდა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ პარტნიორ და დონორ ორგანიზაციას, რომლებთან თანამშრომლობის შედეგადაც სამართალდამცავმა სისტემამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

მიხეილ სარჯველაძე: „3 მსჯავრდებულს უვადო პატიმრობა 20-წლიანით შეეცვალა“

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, 3 მსჯავრდებულს, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით აქვს შეფარდებული, სასჯელის სახე ვადიან თავისუფლების აღკვეთად გარდაექმნა, რომელიც 20 წლით განისაზღვრება. როგორც სარჯველაძე განმარტავს, საკანონმდებლო ინიციატივა ასევე გულისხმობს სხვა დანაშაულებისთვის უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის სასჯელის შეცვლის პროცედურების მნიშვნელოვან რეფორმას.

– საგანგებოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ არ დაგვიწყებია ის ადამიანები, რომელთაც შეფარდებული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც 15, 20 და ზოგიერთი მათგანი 25 წელია, რაც სასჯელს იხდის საპატიმროებში. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს, რომლებსაც შეფარდებული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა (და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით დღეისათვის ასეთი 3 პირი იხდის სასჯელს საქართველოს საპატიმროებში), სასჯელის სახე გარდაექმნათ ვადიან თავისუფლების აღკვეთად, რომელიც განისაზღვრება 20 წლით და ამის შემდგომ მათ ექნებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გაუმჯობესებული, შედარებით შეღავათიანი პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა.

რაც შეეხება სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირებს, რომელთაც შეფარდებული აქვთ უვადო თავისუფლები აღკვეთა, მათთან მიმართებაში დღეს მოქმედი კანონმდებლობა სასჯელის შეცვლის, შემსუბუქების საკმაოდ არამკაფიო დებულებებს შეიცავს. ამის გათვალისწინებით, ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს აგრეთვე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის სასჯელის შეცვლის პროცედურების მნიშვნელოვან რეფორმას. კერძოდ, მათთვის შეიქმნება თავისუფლებისათვის მომზადების სპეციალური პროგრამა, რაც კანონით დადგენილ ვადაში, მოსამართლეს ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს.

ასეთი მიდგომა (1) ხელს შეუწყობს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პერსპექტივების შექმნას, და ასევე (2) ეს წარმოადგენს ევროპულ სტანდარტს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების დაცვის კუთხით.

რასაკვირველია, ამ დროს მნიშვნელოვანი იქნება დაზარალებული მხარის უფლებებიც.

კანონპროექტთან დაკავშირებით ოფიციალური პროცედურები დაწყებულია და უახლოეს დღეებში მას იხილავს საზოგადოება. როგორც აღინიშნა, ეს ინიციატივა წარმოადგენს საფუძველს დისკუსიებისა და კონსულტაციების დასაწყებად. დიდი იმედი გვაქვს, რომ საპარლამენტო განხილვების პროცესში შევძლებთ, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული საზოგადოების უსაფრთხოებისა თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი პრინციპები, რათა ამით შესაძლებელი გახდეს, რომ შევძლოთ სისხლის სამართლის ასევე ფუნდამენტური პრინციპის – ჰუმანიზმის აქტის განხორციელება ამ გზით, როგორც ეს წარმოდგენილია განსახილველი კანონპროექტით, – განაცხადა სარჯველაძემ.

გიორგი რურუას ციხეში ცემის ფაქტზე მე-8 პენიტენციარული დაწესებულების 2 თანამშრომელი დააკავეს

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის, მსჯავრდებულ გიორგი რურუას ჯგუფურად ცემის საქმეზე სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ბრალდებით იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მე-8 პენიტენციარული დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორი და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი დააკავა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

„იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ბრალდებით მე-8 პენიტენციარული დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორი შ.მ. და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი ლ.გ. დააკავა.

გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოში 2020 წლის 16 ნოემბერს დაწყებული გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულეს არაჯეროვნად, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ამავე დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის გ.რ.-ს ჯგუფურად ცემა და რამაც ამ უკანასკნელის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

შესაბამისად, 2020 წლის 16 დეკემბერს სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნენ მე-8 პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლები: შ.მ. და ლ.გ.

აღნიშნული მუხლი სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

საქმეზე გრძელდება გამოძიება“, – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 712 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 712 ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 88 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს. გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 624 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს. პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 სხდომაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კახაბერ საბანაძემ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ონლაინშეხვედრის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტები განიხილეს. შეხვედრაზე კახაბერ საბანაძემ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის წარმატებით განხორციელების კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. მინისტრის პირველმა მოადგილემ ყურადღება გაამახვილა საზღვრის მართვის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

ონლაინშეხვედრაზე ხაზი გაესვა უვიზო რეჟიმის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. დამატებით, ევროკავშირმა დადებითად შეაფასა საქართველოს მზაობა, შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის, რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთოს დირექტორატის ხელმძღვანელი ლუკ დევინი; ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი კარ ჰერცელი და ევროკომისიის სხვა წარმომადგენლები. ქართული მხრიდან შეხვედრას მოდერაცია გაუწია საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვახტანგ მახარობლიშვილმა.

ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყების მაღალი დონის წარმომადგენლები.

საბერძნეთში ქართველების ჯგუფი 24 ძარცვისთვის დააკავეს

ბერძნულ მედიაში ქართველების დანაშაულებრივი ჯგუფის დაკავების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. ქართველების ჯგუფი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მრავალჯერად ძარცვაშია ეჭვმიტანილი. მათ მინიმუმ 24 ძარცვა მოაწყვეს. ბერძენმა სამართალდამცავებმა ქართველების ჯგუფი 4 დეკემბერს დააკავეს და მათგან ძვირფასეულობა, ნაღდი ფული, მობილური ტელეფონები და საბანკო ბარათები ამოიღეს. გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამრღვევები ქუთაისისა და კასპის მკვიდრები არიან. წელს საბერძნეთში ეს ქართველების მასშტაბური დაკავების მეორე შემთხვევაა: მანამდე ათენში, ქართველ მძარცველთა 9-კაციანი დაჯგუფება დააკავეს.

ვარკეთილში ტოტალიზატორის გაძარცვისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული მთავარი სამმართველოს და ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი გ.კ. და 1986 წელს დაბადებული ჯ.ტ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, მეტროსადგური „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ტოტალიზატორში თავს დაესხნენ ამავე ტოტალიზატორის მოლარეს – 1994 წელს დაბადებულ ნ.მ.-ს. თავდამსხმელებმა მოლარეს დანის მუქარით გააღებინეს სეიფი და გაიტაცეს თანხა, ვიდეოკამერების ჩამწერი მოწყობილობები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მალევე მოახდინეს დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირების იდენტიფიცირება.

პოლიციამ გ.კ. და ჯ.ტ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, თბილისში დაიკავა. გატაცებული თანხის ნაწილი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

ფაშინიანი: „მთავარი დამნაშავე მე არ ვარ“

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი აცხადებს, რომ შეუძლებელია, ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ მისი სურვილითა და გადაწყვეტილებით ჩატარდეს.

– აქ საკითხი იმაზე კი არ დგას, უნდა გადადგეს თუ არა პრემიერ-მინისტრი, არამედ საკითხავია, ვინ წყვეტს იმას, თუ ვინ არის სომხეთის პრემიერ-მინისტრი. ეს ხალხმა საკუთარი არჩევანით უნდა გადაწყვიტოს, ვადამდელი არჩევნების ჩატარება მხოლოდ ჩემი ნებითა და გადაწყვეტილებით ვერ მოხდება, ამაზე თანხმობაა საჭირო, – განაცხადა ფაშინიანმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში.

კითხვაზე, გრძნობს თუ არა ის პასუხისმგებლობას ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა:

– კარგი. მე ვამბობ, რომ საკუთარი თავი ნომერ პირველ პასუხისმგებელ თანამდებობის პირად მიმაჩნია, მაგრამ თავს ნომერ პირველ დამნაშავედ არ ვთვლი.

მაიკ პომპეო კარანტინში გადავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო კარანტინში გადავიდა, რაც მისი კოვიდ-19-ით დაავადებულთან კონტაქტს უკავშირდება. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

– სახელმწიფო მდივანს კონტაქტი ჰქონდა პირთან, რომელმაც კოვიდზე დადებითი პასუხი მიიღო. სახელმწიფო მდივანმა ტესტი ჩააბარა, რომელიც უარყოფითია. ამერიკის დაავადებათა კონტროლის სამმართველოს რეკომენდაციის შესაბამისად, ის კარანტინში გადადის, – განაცხადეს პრესსამსახურში.

მაიკ პომპეო სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ტიხანოვსკაიას რუსეთთან კულუარების მიღმა შეთანხმება არ სურს

ბელარუსული ოპოზიციის ლიდერი ტიხანოვსკაია ბერლინში ჩავიდა. ის ბუნდესტაგის თავმჯდომარეს, გერმანიის პრეზიდენტს, აგრეთვე ბელარუსული დიასპორის ლიდერებს შეხვდა. ჟურნალისტებთან საუბარში ტიხანოვსკაიამ განაცხადა, რომ ევროპა ბელარუსებს თანაუგრძნობს, მაგრამ საქმით ბევრს არაფერს აკეთებს. ტიხანოვსკაიამ ხაზი გაუსვა, რომ ევროპის შუამდგომლობით რუსეთთან მოლაპარაკება სურს. ბელარუსული ოპოზიციის ლიდერი ონლაინრეჟიმში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბიგუნსაც შეხვდა. ტიხანოვსკაიამ მასაც განუცხადა, რომ რუსეთთან შეთანხმებას ესწრაფვის, მაგრამ ეს შეთანხმება ღირსეული უნდა იყოს.

– დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის შუამდგომლობის გარეშე ეს შეუძლებელია! მოსკოვს კულისებს მიღმა არ შევუთანხმდებით! – აცხადებს ტიხანოვსკაია.

ფილიპინებში 6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა



ფილიპინების სანაპიროსთან ახლოს 6.2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ინფორმაციას აშშ-ის გეოლოგიური სამსახური ავრცელებს.

მიწისძვრა ადგილობრივი დროით 07:20 საათზე მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ დავაოსთან ახლოს, 27 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა.

ფილიპინები მსოფლიოში სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ზონაში მდებარეობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა შეყვარებულს, რომელიც ცოლობას არ სთხოვდა, სასამართლოში უჩივლა

ზამბიის მცხოვრებმა ქალმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა შეყვარებულის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ის ცოლად გაყოლას არ სთხოვდა.

28 წლის გერტრუდა ნგომამ განაცხადა, რომ ჰერბერტ სალალიკთან უკვე რვა წლის ურთიერთობა აკავშირებს. ის ამტკიცებს, რომ მამაკაცი არაერთხელ შეპირდა, რომ იქორწინებდნენ, მაგრამ ერთხელაც არ უთხოვია მისთვის ცოლობა. ამასთან გერტრუდა მშობლებთან და ბავშვთან ერთად ცხოვრობს, რომელიც მას სწორედ სალალიკისგან ჰყავს, ეს იმ დროს, როდესაც მამაკაცი სრულიად მარტო ცხოვრობს. ნგომას თქმით, მას ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოუვიდა და მოითხოვა, რომ მამაკაცს სასამართლოს წინაშე მოეყოლა საკუთარ სამომავლო გეგმებზე.

– ის ჩვენ ურთიერთობას ყოველთვის არასერიოზულად უდგებოდა და სწორედ ამიტომ ვაიძულე მას სასამართლოში მოსვლა. მე ვიმსახურებ იმას, რომ ვიცოდე, თუ როგორი მომავალი აქვს ჩვენ ურთიერთობას და როგორ მოვიქცე მომავალში, – განმარტა ქალმა, რომელიც ამავე დროს ეჭვობს, რომ მამაკაცი მას ღალატობს.

სალილიკის განმარტებით, მას ქორწილისთვის ფული არ აქვს და ამავე დროს ნგომა მის მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულა. მოსამართლის განმარტებით, უმჯობესი იქნება თუ შეყვარებულები დამოუკიდებლად მივლენ შეთანხმებამდე.



კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი 90 წლისაა

ქართველ კომპოზიტორს, მეცნიერსა და პედაგოგს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ემერიტუსს ნოდარ მამისაშვილს 90 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღი კომპოზიტორთა კავშირმა ხელოვანს საჯაროდ მიულოცა:

– ბატონი ნოდარი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების, მათ შორის, ოპერის, ბალეტის, სიმფონიური, საორგანო, საგუნდო მუსიკის, ინსტრუმენტული კონცერტების, არაერთი კამერული ნაწარმოების, საბავშვო და კინომუსიკის ავტორია.

ნოდარ მამისაშვილი, ასევე, ათეულობით სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორია. მან პირველად მსოფლიოში შექმნა 9 საეკლესიო ზარის რეზონანსული განაწილების აკუსტიკური სქემა, რომლის მიხედვითაც მოხდა წმინდა სამების ტაძარში ზარების განაწილება სამრეკლო სივრცეში.

ბატონ ნოდარს საიუბილეო თარიღს ვულოცავთ და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და კიდევ არაერთი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას!

რევაზ თავაძე გარდაიცვალა



არაერთი უნიჭიერესი პიანისტის აღმზრდელი, მუსიკოსი და პედაგოგი რევაზ თავაძე 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– კიდევ ერთი ანგელოზი გაგვიფრინდა. საკუთარი მისიის ზუსტი ამომცნობი და მსახური, ბოლომდე დაიხარჯა, ბოლომდე გასცა.

საქართველოს დამსახურებული არტისტისა და პედაგოგის წოდებას, შესაძლოა, კიდევ ბევრი ატარებდეს, მაგრამ ეს არასდროს არის მთავარი. რეზო თავაძე, ჯილდოებთან თუ წოდებებთან ერთად, იყო უმაღლესი ხარისხის ადამიანი, ჩვენზე თანამედროვე აზროვნებით, იუმორითა და საინტერესო ამბებით სავსე.

მადლობა, ბატონო რეზო, მეგობრობისა და თქვენი უდიდესი გამოცდილების გაზიარებისთვის. თუკი იდეალები არსებობს დედამიწაზე, ამის მაგალითი ჩემთვის თქვენ იყავით.

დიდი სიყვარულით გემშვიდობებით. ვუსამძიმრებ თქვენს ძვირფას მეუღლეს, ოჯახსა და სტუდენტებს, რომლებიც შვილებივით გამოზარდეთ, რომლებსაც აზროვნება ასწავლეთ, რომლებსაც, მუსიკალური ფრაზების ამოცნობასთან ერთად, წიგნის სამყარო გაუხსენით და შეაყვარეთ. მადლობა ყველაფრისთვის.

ანზორ ერქომაიშვილი თემურ ქევხიშვილზე: „ყველაზე დიდი ჯილდო მიანიჭა მშობელმა ერმა“

ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა ლოტბარ თემურ ქევხიშვილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას ყველაზე დიდი ჯილდო მიანიჭა მშობელმა ერმა, როდესაც „საუკუნის ხმა“ უწოდა:

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაჟაფშაველა სიმღერასა და გალობას სულის მალამოდ აღიარებდა. თემურ ქევხიშვილიც სულის ტკივილის დასაამებლად, ადამიანებისათვის შვებისა და სიხარულის მომგვრელად იყო გაჩენილი. ვისაც მისი ნამღერი „ქალგულო“ მოუსმენია, დამერწმუნება, რომ იგი ღვთაებრივი ნიჭით მირონცხებული მომღერალი იყო. მღეროდა გულის სიღრმიდან ამომდინარე ხავერდოვანი ხმით.

ეს საუკუნეებგამოვლილი, ხალხის სულიდან ამონაკვნესი, იდუმალებით მოსილი, სულისშემძვრელი ხმა იყო, ხმა იდუმალი. 62 წელია, ერთად მოვდივართ: მუსიკალური სასწავლებელი, კონსერვატორია; ერთად დავაფუძნეთ ანსამბლი „გორდელა“, რომლის სასიმღერო შემოქმედებას თემურის ხმამ ნათელი მოჰფინა; ერთად მოვიარეთ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, რომელთაც ქართული სიმღერის მადლი ვაგრძნობინეთ. თემურ ქევხიშვილის სიმღერა ღვთაებრივი შუქით იყო გასხივოსნებული. იგი მსმენელს სულში უძვრებოდა და აჯადოებდა. მის სიმღერაში შერწყმული იყო უკიდეგანო სევდა და მაცოცხლებელი იმედი. მისი ღვთაებრივი ხმა და უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. მისი სიმღერა გვაკეთილშობილებდა და ცხოვრებას გვიადვილებდა.

თემურ ქევხიშვილი იშვიათი ანსამბლისტი იყო, ყველა მომღერლისათვის სანატრელი პარტნიორი. გომარ სიხარულიძესთან ერთად შესრულებული დუეტები სამაგალითოა ყველა თაობის მომღერლებისთვის, ხოლო მიხეილ მცურავიშვილთან ერთად ნამღერი „გრძელი კახური მრავალჟამიერი“ ნამდვილი შედევრია.

„გორდელას“ შემდეგ თემურმა მრავალი ანსამბლი შექმნა, სადაც ლოტბარის იშვიათი თვისებები გამოამჟღავნა. მისი ანსამბლები შესრულების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ და უმაღლეს შეფასებას იმსახურებდნენ. რაც მთავარია, თემურ ქევხიშვილმა მომღერალთა თაობები აღზარდა. მან ბავშვებს ჩაუნერგა სამშობლოსა და სიმღერისადმი უდიდესი სიყვარული. მისი გაზრდილი მომღერლები დღეს თვითონვე ქმნიან ანსამბლებს და ემსახურებიან ქართულ ხალხურ სასიმღერო ხელოვნებას.

თემურ ქევხიშვილმა ქართლკახურ სიმღერებს საკუთარი კვალი დაატყო, მშობლიური კუთხიდან ჩამოიტანა იშვიათი მარგალიტები და ახალგაზრდებს მათი სურნელი აგრძნობინა. თემურმა შექმნა იშვიათი ფონოჩანაწერები, რომლებიც მომავალ თაობებს ხალხური სიმღერის მადლს აზიარებენ.

ქართული მუსიკალური საზოგადოება თაყვანს სცემდა ამ მართლაც განუმეორებელ მომღერალს. მისი ხმისთვის სპეციალურად წერდნენ სიმღერებს გამოჩენილი კომპოზიტორები: ოთარ თაქთაქიშვილი, რეზო ლაღიძე, სულხან ცინცაძე და სხვები.

თავისი განუმეორებელი ხელოვნებით თემურმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ყველა დროის რჩეულ ქართველ მომღერალთა შორის. ყველა სასიმღერო შედევრს სხვადასხვა პერიოდში ჰყავდა თავისი გამორჩეული შემსრულებელი, რომელიც ამ სიმღერას საკუთარი სულის ნაწილად აქცევდა. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთია თემურ ქევხიშვილის მიერ შესრულებული „ქალგულო“, რომელიც საუკუნეებს გაჰყვება.

თემურ ქევხიშვილს უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მიანიჭა მშობელმა ერმა, რომელმაც იგი „საუკუნის ხმად“ აღიარა.

მადლობა ვუთხრათ განუმეორებელ მომღერალს, თემურ ქევხიშვილს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოსა და ქართული ხალხური სიმღერის უკვდავებას მოახმარა. წავიდა ჩვენგან ლეგენდარული მომღერალი, შეუერთდა დიდებულ მომღერალთა საუფლოს და ქართველ ერს სულის სალბუნად სამარადჟამოდ დაუტოვა თავისი ხმა – „ხმა იდუმალი“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შერმადინი და შენგელია ევროტურნირებზეც იგებენ

ესპანეთის ჩემპიონატში შედეგიანად მოასპარეზე ტენერიფე ევროტურნირებზეც ყოჩაღობს. გიორგი შერმადინის გუნდმა ფიბას ჩემპიონთა ლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ტენერიფელები სტამბოლში გალათასარაის დაუპირისპირდნენ და დამაჯერებლად – 104:89 დაამარცხეს.

ტრადიციულად, ქართველმა ცენტრმა შედეგიანად ითამაშა, მაგრამ ამჯერად ის საუკეთესო არ გამხდარა. ზეშედეგიანობა ფინელმა მსროლელმა – საშუ სალინმა გამოავლინა, რომელმაც 11 ცდიდან 8 სამქულიანი ჩააგდო, ჯამში კი 34 ქულა მოაგროვა. საერთოდ, ტენერიფელებმა სასწაული შორი მიზანი გამოავლინეს – ესპანურმა კლუბმა 30-დან 19 სამიანი მიითვალა და ამ კომპონენტში საშუალო სროლებზე (30-დან 16) უკეთესი პროცენტულობა აჩვენა.

გაგიკვირდებათ და შერმადინი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ქართველმა ცენტრმა მოედანზე 25 წუთი გაატარა და სარგებლიანობის ინდექსით ტენერიფელთა შორის მე-3 შედეგი უჩვენა. შერმადინმა 8-დან 6 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ცენტრის ანგარიშზე 16 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი დაგროვდა.

3 მოგებითა და 1 მარცხით ტენერიფე ჩემპიონთა ლიგის ა ჯგუფში მე-2 ადგილზეა დაუმარცხებელი დინამო სასარის შემდეგ. შერმადინის გუნდი მორიგ მატჩს სწორედ ლიდერ დინამოსთან გამართავს, ოღონდ უკვე მომავალ წელს.

უფრო პრესტიჟული ტურნირის, ევროლიგის მე-14 ტურში თორნიკე შენგელიას ცსკა-მ საკუთარ მოედანზე ეფესი 100:65 დაამარცხა.

შენგელიამ 17 წუთში 8 ქულა (3-დან 1 ორქულიანი და 5-დან 2 ორქულიანი), 2 მოხსნა და 2 პასი მიითვალა, მე-4 მეოთხედში კი მე-5 პერსონალური მიიღო და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა.

ცსკა-მ მიჯრით მეცხრე გამარჯვება იზეიმა, 11 მოგებით ლიდერია და 18 დეკემბერს ზენიტს უმასპინძლებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თბილისის დინამომ ჩემპიონთა ლიგა წაგებით დაიწყო

წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში თბილისის დინამო ბ ჯგუფში იტალიურ ბრეშიასთან 9:15 დამარცხდა.

არადა, დინამომ პირველი პერიოდი დიდებულად ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ 2 გოლი თავიდანვე გაუშვა, შემდეგ მეტოქეს 4 გაუტანა და პირველი მეოთხედი 4:2 მოიგო.

თუმცა შემდეგ უპირატესობა მარტივად გაუშვა ხელიდან და მატჩის ბედიც ბოლო პერიოდამდე გადაწყდა. მე-2 მეოთხედი ჩვენებმა 1:4 წააგეს და ტაიმი ერთი ბურთით წააგეს.

გადამწყვეტი გამოდგა მე-3 მეოთხედი, რომელიც ბრეშამ 6:1 მოიგო და დასკვნითი მეოთხედი ფორმალობად აქცია.

ჩვენი გუნდიდან გოლები მარკო ელაჩამ (3), ბესარიონ ახვლედიანმა, ანდრია ბითაძემ, სანდრო ადეიშვილმა, იოვან სარიჩმა, გიორგი მაგრაქველიძემ და დუშან ვასიჩმა გაიტანეს.

სამგლოვიარო განცხადებები

მიმოზა ჩიქოვანი-ტაბალუას გახსენება

ჩემო სანატრელო და უსაყვარლესო მიმოზა! 2018 წლის 18 დეკემბერი მძიმე დღეა ჩემს ცხოვრებაში. ამ დღეს დამტოვე და გადაინაცვლე ზეციურ სამყაროში, დატოვე დიდი სევდა და მწუხარება. ორი წელი შესრულდა, რაც ჩემთან არა ხარ, მაგრამ მუდამ ჩემთან ხარ. ყოველთვის და ყოველწუთს ვგრძნობ, რომ ძალიან მაკლიხარ. უშენობა ძალიან მიჭირს. ტყუილად არ არის ნათქვამი, მეუღლე სულისა და ცხოვრების ნაწილიაო, ამასთანავე – გულის მალამო. ჩემს შემთხვევაში – გულისტკივილი და გამანადგურებელი. ოჰ, ვინ იცის, რა საშინელებაა ამ ორი ადამიანის ერთმანეთისგან დაშორება, რომლის გარეშეც ცხოვრება არარაობაა. ეს არის ტანჯვა. ეს არ არის ცხოვრება, ასე სიცოცხლე გაუსაძლისია. ჩემი სიცოცხლე იყო აზრიანი, როცა ჩვენ ერთად ვცხოვრობდით სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერად, ამიტომ ვერ ვეგუები უშენობას, ნაადრევად წასვლას. შენი წასვლა ნაადრევად ღმერთმა ძლიერმა რომ ისურვა, ვხვდები და დალოცვილი გზა გაქვს არჩეული, მხოლოდ მარტოობით მე ვიტანჯები. რა იქნებოდა, რომ ცოტა ხანს ერთად ვყოფილიყავით, ჩემო თბილო, სანატრელო და უბოროტო მიმოზა! მეცოდები მიწისთვის, მაგრამ სიცოცხლე საკუთრება არ ყოფილა. საკუთრება სიყვარულია, რომელსაც ვერავინ წაგართმევს. მხოლოდ ეს დამრჩა – ძალიან მიყვარხარ. უბედნიერესი სიბერის მოლოდინში ვიყავი, შენ კი მოულოდნელად წახვედი, თან გაიყოლე ჩემი იმედი და ფიქრები, წვალებითა და წამებით განვლილი დღეები! რატომ, რისთვის ვიკლავდი თავს? ამისთვის? ვერც შენ გაკითხავ და ვერც შენს ცხოვრებას. რატომ გამასწარი? იწვის ჩემი გული, ძნელია, ვინმემ გაგიგოს. სიყვარული და განცდა ყველას ერთნაირი არა აქვს. მიჭირს სიტყვების პოვნა, გამოვხატო ჩემი სულის ტკივილი, ჩემო ძვირფასო და სანატრელო მიმოზა!

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში. მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო!

გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა

ზაურ კუსიას ხსოვნას

ჩვენი მეგობარი ზაური უაღრესად თავმდაბალი და მორიდებული ადამიანი იყო. მასთან საუბრისას მისი სიდინჯე გადმომდები იყო და შენც ცდილობდი, მშვიდად გესმინა და გესაუბრა. გაწონასწორებული ხასიათის გამო იგი კუსას სიყვარულს წლების განმავლობაში იმსახურებდა. მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება მისაბაძი იყო ნებისმიერი ცოლ-ქმრისათვის. ჩვენ პატივს ვცემდით მათ ერთგულებას, სტუმარ-მოყვარეობასა და სიყვარულს. ჰოდა, ამ სიყვარულის გზას გაჰყვა ზაური და კუსას შეუერთდა მარადისობაში. ისინი ზეციდან დალოცავენ ყველას და განსაკუთრებით დას – ეთერს, რომელმაც ზაურის ჭირვარამი გაიზიარა, მარტოობა, ავადმყოფობა შეუმსუბუქა და საკადრისად გააცილა მეუღლესთან სასუფეველში. კუსა და ზაური დაუვიწყარ პიროვნებებად დარჩებიან ჩვენში.

თანაკლასელების სახელით, მზია ჩაჩავა

ემზარ ექიზაშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო ემზარ, უკვე 10 წელი გავიდა უშენოდ ცრემლსა და ვარამში.

რა მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე. როცა უნდა გაგეხარა შენი შვილების მომავლითა და ახლობლებით, მაშინ გადასახლდი მარადისობაში.

ჩვენთვის უდიდესი ტკივილია შენისთანა ვაჟკაცის უდროოდ მიწისთვის მიბარება.

ყოველთვის მხიარული, მოსიყვარულე და თბილი იყავი. ასეთი დარჩები შენი ოჯახისა და ახლობლების მოგონებებში.

მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მხურვალედ ვილოცოთ შენი ნათელი სულის მარად სასუფეველში ყოფნისთვის.

შენთვის ვლოცულობთ შენი დამწუხრებული დედა ნანული, მამა მიხეილ ექიზაშვილები, ძმა ჯონი, რძალი ლალი ვარსიმაშვილი, ძმისშვილი მიშიკო, შვილები ანი, სოფო, მეუღლე ნატო, სიდედრი სვეტა ცეცხლაძეები. ბიძა თამაზი, ბიცოლა ეთერი, მამიდა ლალი, მამიდის მეუღლე რომანი, ბიძაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ტორპედო და სამგურალი სტუმრად იგებენ

გაგჩა-ტორპედო 0:2
თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა
0:1 ივანიშვიილი (24),
0:2 ნადარაია (81)

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ნოზაძე, ჩადუნელი, ქობულაძე, ვეკუა, კაკიაშვილი (სულთანიშვილი 57), ლაღაძე, ხაბელაშვილი (ერგემლიძე 77), ივანიაძე (მანაგაძე 70), მაქაცარია

ტორპედო: შოვნაძე, ტაბატაძე (თედ.გრიგალაშვილი 77), ადამაძე, მირცხულავა, ნადარაია, ჯანელიძე, ივანიშვილი (იონანიძე 68), ფურცხვანიძე (გოგუაძე 46), ტუღუში, ციცქიშვილი, ფანცულაია

ფლეი აუტის პირველ თამაშში ქუთაისის ტორპედომ სტუმრად საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი გაგრა 2:0 დაამარცხა და ელიტაში ადგილის შენარჩუნებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

იმერული გუნდი უმაღლესი დივიზიონიდან სპორტული პრინციპით არასდროს გავარდნილა და ამდენად, ტორპედოსთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი ამბავია. თავის მხრივ, გაგრას ელიტაში დაბრუნების დიდი სურვილი აქვს. ამას საქართველოს თასის მოგებაც ადასტურებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მინიმუმ ერთი წლით გადაიდება. აფხაზურმა გუნდმა საკუთარ მოედანზე წააგო და საპასუხო შეხვედრის წინ აშკარად აუტსაიდერის პოზიციაშია.

ტორპედომ მეტოქეს თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა: ანგარიში 24-ე წუთზე გიორგი ივანიშვილმა გახსნა, რომელმაც ახლო მანძილიდან ზუსტად გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. მატჩის მიწურულს მიხეილ აშვეთიას გუნდმა უპირატესობა გაიორმაგა – ბექა ტუღუში კარში დარტყმას ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა, ბურთი კი ცოტნე ნადარაიასთან აღმოჩნდა, რომელმაც ერთი შეხებით მასპინძელთა კარში გადაგზავნა.

ჩიხურა-სამგურალი 0:2
თბილისი. მიხეილ მესხი 2
0:1 ბუჯანაძე (77),
0:2 ჯუხიანიძე (81)

ჩიხურა: ბეგაშვილი (ზარქუა 75), მაჩაიძე, კამლაძე, კაშია, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, ბასტრონი, გვაზავა, კახაბრიშვილი, წიქარიძე (ბერეზოვი 60), ბუხაიძე (მუჯირი 67)

სამგურალი: მეშველიანი, პატარკაციშვილი, ქურდაძე, ბურჯანაძე, ტურე, გაზდელიანი, ფონიავა, ჩიხლაძე (ახვლედიანი 80), კიკაბიძე (ბანძელაძე 67), რაზმაძე, კუხიანიძე (რაჟამაშვილი 84)

საქართველოს ეროვნული ლიგის ფლეი აუტში წყალტუბოს სამგურალი საჩხერის ჩიხურას ესტუმრა და კომფორტული ანგარიშით დაამარცხა. თუ სასწაული არ მოხდა, უჩა სოსიაშვილის გუნდი ახალი სეზონიდან ეროვნულ ლიგაში ითამაშებს. მატჩის ბედი ბოლოსკენ გადაწყდა: 77-ე წუთზე შალვა ბურჯანაძემ გახსნა ანგარიში, ხოლო 81-ე წუთზე სერგო კუხიანიძემ გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 0:2. თუ სამგურალმა შინ ეს უპირატესობა არ გაანიავა, 2002 წლის შემდეგ ელიტაში ითამაშებს. წყალტუბოელთა მწვრთნელი უჩა სოსიაშვილი კი ქებას იმსახურებს. მან ჯერ კიდევ 2015 წელს გორის დილა გააჩემპიონა და დაამტკიცა, რომ კარგი მწვრთნელია. ახლა კი სამგურალში ჩინებული გუნდი შექმნა, რომელიც არა მარტო ეროვნულ ლიგაში დიდი ხნის პაუზის შემდეგ ბრუნდება, არამედ საქართველოს თასის ფინალშიც ითამაშა.

ნიკა ამაშუკელი ევროპაში იზრდება

ქართველმა მსაჯმა ნიკა ამაშუკელმა „შემოდგომის ერთა თასზე“ შოტლანდია-საფრანგეთის მატჩზე გვერდით მსაჯად იმუშავა. ეს უკვე აღიარებაა. თუმცა, ეს ტურნირი ერთჯერადია და ჩვენებური კარგად ნაცნობ ჩელენჯ ქაფზე გადაერთო. 26 წლის ამაშუკელს ამ ტურნირზე დებიუტი 2 წლის წინ ჰქონდა და ერთი თამაში იმსაჯა, შარშან კი ჯგუფური ეტაპის 5 მატჩი ანდეს.

წელს კი უკვე მოასწრო ერთი თამაშის განსჯა – ლესთერი-ბრივი. ცუდი ისაა, რომ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო თამაშზე სრულად ქართული ბრიგადა ვერ გაემგზავრა და ნიკას კიდეებიდან ბრიტანელები ეხმარებოდნენ. მოკლედ, ჩვენებური ევროპაში იზრდება.

ნიკა ამაშუკელი:

– ძალიან კარგია, რომ შეზღუდვების მიუხედავად, არაევროკავშირის წევრი ქვეყნის მსაჯმა მაღალი დონის თამაშებზე დანიშვნა მაინც მივიღე. მნიშვნელოვანია, რომ ამ სისტემაში დავრჩე და კიდევ უფრო განვვითარდე. ელიტური კლუბების თამაშები, ისევე, როგორც ნაკრებების, სარაგბო ჭეშმარიტებაა. თავად თამაში იყო ძალიან კარგი. ტემპი მაღალი, რომელსაც ლესთერი სულ უფრო სწევდა და ბრივიც 70 წუთის განმავლობაში მედგრად იდგა, მაგრამ საბოლოოდ ინგლისელების კლასი შედეგზე აისახა. ასეთი თამაშების მსაჯობა ყოველთვის სასიამოვნოა, რადგან 3-5 მეტრიდან აკვირდები მაღალ დონეზე შესრულებულ ყველა დეტალს, იქნება ეს რაქში თამაში, ბოჭვის შესრულება თუ უპირატესობის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ მოედანზე, ამაშუკელის გარდა, კიდევ 3 ქართველი იყო – ბადრი ალხაზაშვილი, ლუკა ჯაფარიძე და ირაკლი ცხადაძე, თანამემამულეების მატჩის მსაჯობა კი ნიკასთვის დამატებითი სიამოვნებაა

– ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთი დონის გუნდებში ქართველებს ხვდები. ბადრისთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი, დიდი ხანი არ მყავდა ნანახი და ძალიან გამიხარდა. ლუკა ჯაფარიძისა და ირაკლი ცხადაძის შეხვედრა აქამდეც მიმსაჯია. გამიხარდა გოდერძი შველიძის ნახვა, რომელიც ძალიან თბილად შემხვდა და ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ.

ამაშუკელი ამბობს, რომ ტონუსში ყოფნისთვის, მსაჯისთვისაც აუცილებელია მაღალი დონის თამაშებში მუშაობის გამოცდილება:

– უკვე ვიცი, როგორია მაღალი დონის რაგბი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ დონეზე რეგულარულად მსაჯობდე. სამწუხაროდ, დიდ 10-ში ჩვენს პოტენციალს ვერ ვიყენებთ, არადა, როგორც მოთამაშისთვის, მსაჯისთვისაც მნიშვნელოვანია კვირიდან კვირამდე ვითარდებოდეს. ვცდილობ, უნარები მუდმივად განვავითარო და ვმუშაობ პატარა დეტალების გამოსასწორებლად. ლესთერი-ბრივის თამაშზე ძალიან კარგი შეფასება მივიღე, მაგრამ იყო პრობლემები კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

ნიკას კიდევ ერთი გამოცდა ელის. ამჯერად ის ბრიტანულ დაპირისპირებას იმსაჯებს – ინგლისური ვუსტერი უელსურ ოსპრეიზს მასპინძლობს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. მღრღნელის, ჭიის, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 11. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 14. ცხოველის გარეგნული შეხედულება, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისივე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. ცხოველთა სამყარო.

თარაზულად: 1. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. მიწის თხილი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კომბინაცია პოკერში; 23. შრი-ლანკის დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შოტლანდია; 2. ფაბრიკა; 3. ფინიკი; 4. მარკა; 5. პრაიდი; 11. ტირადა; 12. დავოსი; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ჰალვა.

თარაზულად: 6. შორაპანი; 7. კვაზარი; 8. კასიო; 9. კაბუკი; 10. კოშტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. სამსუნი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. მარსელიოზა; 24. სედანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ვაუჩერი; 3. ავტობანი; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სანტი.

თარაზულად: 1. ავლაბარი; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სენტო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2889

ევრო — 3.9954

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4117

100 რუსული რუბლი — 4.5016

ამინდის პროგნოზი 17 დეკემბრისათვის

კახი კავსაძემ კორონავირუსი დაამარცხა



თეატრისა და კინოს მსახიობმა კახი კავსაძემ კორონავირუსი დაამარცხა. 85 წლის ხელოვანმა პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა უკვე დატოვა და სახლში წავიდა.

კახი კავსაძე სუნთქვის გართულებით პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში რამდენიმე დღის წინ შეიყვანეს. მსახიობის მდგომარეობა მძიმე იყო, თუმცა ხელოვანმა ვირუსის დამარცხება შეძლო და ახლა ოჯახის წევრების გარემოცვაში იმყოფება.

ბექა გოჩიაშვილი ჩიკ კორეას რჩეულია

ჯაზის მსოფლიოს ვარსკვლავმა ჩიკ კორეამ იმ პიანისტთა სია გამოაქვეყნა, რომლებმაც მის შემოქმედებით პროცესებზე უდიდესი გავლენა მოახდინეს. ჯო ზავინულის, სტივი უანდერის, ჰერბი ჰენკოკის, მარტა არგერიხის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ფრედერიკ შოპენის, კლოდ დებიუსის, დიუკ ელინგტონის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, სერგეი პროკოფიევის, არტურ რუბინშტეინის, რობერტ შუმანისა და სხვა ვარსკვლავების გვერდით ქართველი ჯაზპიანისტი ბექა გოჩიაშვილიც აღმოჩნდა.

მსოფლიოს ლეგენდარული ჯაზპიანისტი ჩიკ კორეა განმარტავს, რომ თითოეულმა მათგანმა მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ჰინდუ ენაზე ითარგმნა



შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ჰინდუ ენაზე ითარგმნა.

ინფორმაცია მწერალმა ირაკლი კაკაბაძემ გაავრცელა:

– როგორც იქნა, მოხდა ის, რაც დიდი ხანია, უნდა მომხდარიყო – „ვეფხისტყაოსანი“ ჰინდუ ენაზე გამოიცა.

დიდი მადლობა საქართველოს ელჩს ინდოეთში არჩილ ძულიაშვილსა და, ამავე დროს, ინდოეთის ვიცე-პრემიერს 2016 წელს, ქალბატონ სუჯატა ბაის. ის იყო ინდოეთის მთავრობის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ეს საკითხი წამოჭრა.

ბრავო! ეს დიდი ამბავია საქართველოსათვის და ჩვენც გვიხარია, რომ ჩვენი პატარა წვლილი შევიტანეთ ამ საქმის გაკეთებაში დათო ბეჟიტაშვილთან და სხვებთან ერთად.

„ანა კალანდაძის ბიუსტი არ უნდა იყოს გახსნილი თბილისის რომელიმე სკვერში?!“



– კითხულობს პოეტი თემო ჭახნაკია და ასე ეხმაურება ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის 96-ე დაბადების დღეს:

– ანა კალანდაძის ბიუსტი არ უნდა იყოს გახსნილი თბილისის რომელიმე სკვერში?!

4 წელიწადში მისი დაბადებიდან 100 წელი გადის. იმედია, მაშინ მაინც იზრუნებენ ამ საკითხზე. მე თუ მკითხავთ, ქუთაისის მოსწავლეახალგაზრდობის გადასარევ პარკსაც დაამშვენებს ანას ბიუსტი.

ცნობისთვის, მისი ბიუსტი გახსნილია ჩოხატაურში, მისი სახელობის ქუჩაა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და უკვე ჩოხატაურშიც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

•••

სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ბიჭი გოგოს ეუბნება:

– დღეს ბიჭები გოგონებს გესტუმრებით!

– ძალიან კარგი, სასმელი თქვენზეა!

– მაშინ საჭმელი და ქალები თქვენზე იქნება!

•••

ჩუქჩა და გეოლოგი ყინულოვანი ოკეანის ნაპირზე ქვებს აგროვებენ. ამ დროს შენიშნავენ, რომ მათკენ დიდი თეთრი დათვი მორბის. იარაღი არ აქვთ. ჩუქჩამ სასწრაფოდ თხილამურების გაკეთება დაიწყო. გეოლოგი ეუბნება:

– აზრი არ აქვს, დათვზე სწრაფად ვერ გაიქცევი.

– ჩუქჩას დათვზე სწრაფად სირბილი არ სჭირდება. მთავარია, შენზე სწრაფად გავიქცე!

•••

ორი კანიბალი მოწყენილი ზის და კატალოგს ათვალიერებს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, მაცივარი გამოვიწეროთ.

– შენ რა, შიმშილისგან სულ გადაირიე? საჭმელი არაფერი გვაქვს და მაცივარი რა ჯანდაბად გვინდა?

– რა უტვინო ხარ. მაცივარიც გამოგვადგება და შეკვეთის მომტანებიც.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გვარდიოლა: „მანჩესტერ სიტის კრიზისი არ აქვს“

ვესტ ბრომვიჩთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა, ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა კარგად ითამაშა და, უბრალოდ, არ გაუმართლა:

– გუნდში არავითარი კრიზისი არ არის, თუმცა ასეთი შეხვედრები მომავალში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თუ გვინდა, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ჩვენი შანსები უკეთ უნდა გამოვიყენოთ და ამაზე აუცილებლად ვიმუშავებთ. სიტის დიდი პოტენციალი აქვს და ამას მალე ყველა დაინახავს.

ანდრეს ინიესტას ოპერაცია სჭირდება

ანდრეს ინიესტამ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და მას კუნთზე ოპერაცია ესაჭიროება, რომლის შემდეგაც, შესაძლოა, მან 5 თვე ვერ შეძლოს მოედანზე გამოსვლა. ზუსტი ინფორმაცია ინიესტას დაბრუნების შესახებ ოპერაციის შემდეგ იქნება ცნობილი.

ინიესტამ ბარსელონა 2018 წელს დატოვა და იაპონურ ვისელ კობეს შეუერთდა, სადაც ის მაშინვე ლიდერი გახდა და მისი არყოფნა ვისელ კობესთვის დიდი დანაკლისი იქნება.

კუმანი: „დემბელე მალე დაბრუნდება“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ტრავმირებულ ფეხბურთელებზე ისაუბრა და თქვა, რომ უსმან დემბელეს მცირე დაზიანება აქვს და ის მალე დაბრუნდება, თუმცა იმავეს თქმა არ შეიძლება ანსუ ფატიზე, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა და მისი დაბრუნების თარიღი უცნობია:

– დემბელე ვარჯიშს მალე განაახლებს და მისი დიდი იმედი მაქვს. რაც შეეხება ფატის, მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა გადაიტანა და ჯერჯერობით ის რეაბილიტაციას გადის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეგან მარკლმა პოპულარობით კეიტ მიდლტონსა და დედოფალს გაასწრო

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ყველაზე პოპულარულ წევრად იქნა აღიარებული.

ერთ-ერთი ბრიტანული პორტალის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ამერიკელი მსახიობისა და პრინც ჰარის მეუღლის, 39 წლის მეგან მარკლის პოპულარობა 14,5 პროცენტს შეადგენს. ამ შედეგით მან გაასწრო კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონს, რომლის პოპულარობის პროცენტის მაჩვენებელი 14,4-ია. მესამე ადგილზე კი 14,3 პროცენტით დიდი ბრიტანეთის 94 წლის დედოფალი ელისაბედ II აღმოჩნდა.

რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა მეგან მარკლის მეუღლემ, პრინცმა ჰარიმ, 14,2 პროცენტით. მისმა უფროსმა ძმამ, პრინცმა უილიამმა, 13,8 პროცენტი მიიღო და მეხუთე ადგილი დაიკავა. ამ სიაში პოპულარობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იორკის ჰერცოგს, პრინც ენდრიუს აღმოაჩნდა – მხოლოდ რვა პროცენტი.

სამსახურდაკარგული მასწავლებელი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვით გამდიდრდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესის მკვიდრმა მასწავლებელმა ქალმა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს სამსახური დაკარგა და საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვით გამდიდრდა.

რაილი სამერსი სამსახურის გარეშე დარჩა და ინტერნეტში საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვა დაიწყო. ამჟამად ის კვირაში დაახლოებით 8 ათას დოლარს გამოიმუშავებს. 23 წლის ყოფილ მასწავლებელს ინსტაგრამში ორი აკაუნტი აქვს, რომლებზეც, საერთო ჯამში, მილიონ-ნახევარი ხელმომწერი ჰყავს.

ამერიკელი ამტკიცებს, რომ მას ახალმა სამსახურმა გამოხატვის თავისუფლება მიანიჭა. მისი თქმით, სოციალური ქსელი საშუალებას აძლევს, უფრო სექსუალური და მხიარული იყოს, თუმცა, ამავე დროს, ხელმომწერებთან ურთიერთობაში გარკვეულ დისტანციას იცავდეს.

– თავდაჯერებული გავხდი. ყოველ ჯერზე, როდესაც უხამს ფოტოსურათს ვაქვეყნებ, ადრენალინის მოზღვავებას ვგრძნობ, – აღიარა სამერსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 დეკემბრისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. ** კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართველი ძიუდოისტი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი; 2. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 3. აეროპორტი ნიუ იორკში; 4. მესაქონლე გლეხი მონღოლეთში; 5. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული; 12. სოფელი ხევსურეთში; 14. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 16. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 17. ფრანგული ყველი; 19. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 21. სპორტული სატყორცნი იარაღი; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

თარაზულად: 6. ქალაქი მესხეთში; 7. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 9. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 10. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ბრიტანეთში; 13. ხრახნული კონვეიერი; 15. მოძრავი კიბე; 18. მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცის კერძი; 20. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 21. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 23. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი; 24. კომბინაცია პრეფერანსში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა